№ 2817
ხუთშაბათი,
12 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2817
ხუთშაბათი,
12 მაისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

აზ. ნოე გიორგის ძე მგალობლიშვილი და **მეუღლე მისი მაკრინე ქაიხოსროს ასული** აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ კვირას თხუთმეტ მაისს ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის და მათთვის საუკუნოდ დაუვიწყარის ძვირფას ასულის

ეკატერინეს

სულის მოსახსენებლად. (2—6.—1)

სავაჭრო სახლი

ა. ვ. გაიდამაკინისა და ამხ.-სა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რეევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა**, რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმენეს, კუზანკოსკისა და ვოიკისას**, სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები. ფოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული; აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სპოსობინისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—6)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის

ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—22)

იყიდება

ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟსკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

ქირავდება ძლიერ შეღავათიან ფასებში

ორი კარგი სადგომი

თითო სადგომი შეიცავს ექვს ოთახს თავისი მოწყობილობით. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან. (5—5)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 მაისისთვის დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება რწმუნებულთა ამოსარჩევად ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში. (3—6.—2)

რესტორანი

„ფუნიკულერი".

1 ს. 5 ს. **სადილი 4 ბლუდი 1 მან.**

სადილი 12 მაისისთვის

1. შჩი სკობილურად პიროჟკებით.
2. სუფი ფინზერი.
3. კონსომე.
4. პაპრიკაში ბატკნის.
5. წიწილი პოლონურად სალათით.
6. მაროჟნი პორფე
და 7. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა ღამის 11 საათამდე.

8 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 3-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

იმერეთის სამღვდელოების სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირა-უქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 4) სამსახური ამ სამწყსოში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის **ეპისკოპოზს**. (10—ნკ.—8).

პარასკევს 13 მაისს ტფილისის სობრანიეში

გამართული იქნება ბაქოელ და ტფილისელ გამოჩენილ მეთარეების კონცერტი; მონაწილეობას მიიღებენ: გამოჩენილნი არსენა, მარტინკა, ზეინალი და შამილა. გამოჩენილი ბაქოს მომღერალი ჯაბარა, მამედა, ოჰანეზა. ფასი 3 მანათიდან 1 მანათამდის. (1—215—1)

გაიღო რესტორანი ბაღით

„განდეგილი"

(მეორ ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანაძე.** (15—208—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ქარხანა

და ავეჯეულობათა სავაჭრო პირველ მაისიდან მოთავსებულნი არიან ერთად: ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25 „ვერსალ"-ის სასტუმროსთან სახლის. მყიდველთ და შემკვეთელთ ვსთხოვთ მოგვმართონ აღნიშნულ ბინაზე. (5—1)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306. 4)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

შიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—278—25)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ჩამოვიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—56).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
9 მაისი.

პარიზი, 10 მაისი. ამ ჟამად საიგონში 16 ტრანსპორტია.—პრინცი არისუგავა ომის გათავებამდე ევროპაში დარჩება და ძლიერს გავლენას იქონიებს ზავის შესახებ გამართულ მოლაპარაკების დროს. მან მიკადოს საკუთარი წერილი გადასცა მეფე ედუარდს.

ვაშინგტონი, 9 მაისი. იმ ცნობების შესახებ, ვითომც როჟესტვენსკი ნახშირს დაუდებს ლიუცონთან, ამერიკის მთავრობამ დაადგინა, რუსებს ნება მიეცეთ წაიღონ მხოლოდ იმდენი ნახშირი, რომ ვლადივასტოკს მიაღწიონო.

11 მაისი

ტოკიო, 10 მაისი. ოფიციალური მოხსენება ამოწმებს, რომ რუსების კავალერიის რაზმი, რომელიც წინ წავიდა ფოკუმინისაკენ 26 მილის მანძილზე დაბანაკდა სინმინტინის გზაზე.

ტოკიო, 10 მაისი (ლონდონის გზით). ამბობენ, ესკადრა წყნარ ოკეანეს გაშლილ წყლებში გავიდაო.

ბერლინი. ის აზრი, რომ ტოგო გაატარებს რუსის ესკადრას ვლადივასტოკისკენ, რადგანაც ნაღმოსნების რიცხვი უნდა გაადიდოს ოპერაციების კარგად წასაყვანადო, თან და თან იზრდება.

ვაშინგტონი, 9 მაისი. კალიფორნიის მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ იაპონელთ ემიგრაციის წინააღმდეგ და ითხოვენ გაძევებულ იქნან იგინი.

ლონდონი, 10 მაისი. სასამართლოში მოუწოდეს ცნობილ ჟურნალისტ ბრელსფორდსა და აქტიორ მაკ-კულოკს, რომელთაც ბრალი ედებათ რუსებს ყალბ პასპორტებს აძლევდნო. საბრალმდებლო აქტში ნათქვამია, ზემოხსენებულმა პირებმა შეთქმულობა გამართეს, რათა ყალბი პასპორტები უშოვნონ ხოლმე სხვებს და ეს ემუქრება ინგლისსა და რუსეთს შორის მშვიდობიანურ განწყობილებასო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
10 მაისი

ტოკიო, 10 მაისი. ოფიციალურ მოხსენებას გზავნიან, იაპონელების წინა რაზმებმა შეავიწროვეს რუსეთის კავალერია, რომელიც ფაკუმინს უვლიდა ლიაოხეს მარჯვენა ნაპირიდან. 7 მაისის ბრძოლის შემდეგ ტაფანჩენის მიდამოებში, რუსები დაბანაკდნენ სიაოტაცზში, 26 მილის მანძილზე ფაკუმინიდან. 8 მაისს ისინი მალიენხოს მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. რამდენიმე როტა, რომელიც მალიენხოს მარცხენა ნაპირზე დარჩა, ჩრდილოეთისკენ წავიდა.

ლოძი, 10 მაისი. გაიფიცა 8 ფაბრიკა, მათ რიცხვში გეინცელისა და კუნიცერისა; მუშების რიცხვი 5320-მდეა.

ბორისოვი, 10 მაისი. სმოლევიჩის ვოლოსტში გლეხების არეულობის ეშინიათ. სმოლევიჩის ეკონომიაში ჯარი მოითხოვა. ნოქრების გაფიცვა დაიწყო.

ტაგანროგი, 10 მაისი. გუშინ მუშებსა და ექსპორტიორებს შორის შეთანხმება მოხდა. ხელ-ფასს მოუმატეს და დაასრულეს დამტვირთველთა არტელი. დღეს განახლდება მუშაობა.

სიმბირსკი, 10 მაისი. ცეცხლმა გაანადგურა საკურთხევლის მეოთხედი ნაწილი.

ლონდონი, 10 მაისი. მთავარმა პროკურორმა ბოუსტრიტში პოლიციურ სასამართლოში ბრალდება შეიტანა იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტად სარგებლობენ ინგლისის პასპორტებით რუსეთში. ის პასპორტი, რომელიც „ბრისტოლ"-ის სასტუმროში მოკლულ რუსის ებრაელს უნახეს პეტერბურგში და რომელიც მაკკულოხის სახელზე იყო დაწერილი, მიცემული ჰქონდა ინგლისელ მაკკულოხს, შემოწმებულ იყო რუსის საელჩოში ლონდონში და გამოკვლეული იყო პოლიციისაკან.

პეტერბურგი, 10 მაისი. დღეს სტატს-სეკრეტარი ერმოლოვი გამოეთხოვა მიწათმოქმედების უფროს სამინისტროს მოსამსახურეებს.

ხარკოვი, 10 მაისი. ლოზოვაიასთან დაიმტვრა საქონლის მატარებელი; დაიმტვრა 25 ვაგონი, ბევრია მოკლული და დაჭრილი. მატარებელში გზაზე მოსამსახურეების ოჯახები ისხდნენ.

რიბინსკი, 10 მაისი. გაიფიცნენ ნავთსადგურზე მომუშავე დამტვირთველნი; კარაბანში მუშაობა შეწყდა.

ელისავეტგრადი, 10 მაისი. გაიფიცნენ ყველა ქარხნები.

მიტავა, 10 მაისი. 9 კაცმა ესროლა გოროდოვოის, რომელმაც პასუხი გასცა სროლით და თავს უშველა.

მინსკი, 10 მაისი. დაიხურა დეპო და სახელოსნოები მოსკოვ-ბრესტის გზისა; მოსამსახურეებს წინადადება მისცეს, ანგარიში გაგისწორებთო. გუშინ საღამოს 600 მუშა შეიკრიბა ტყეში და დაიშალნენ პოლიციისა და კაზაკების მოსვლის შემდეგ.

იოკოგამა, 10 მაისი. ბრიტანიის გემ „დინკლუდენ"-ს, რომელიც იაპონელებმა დაიჭირეს, განათავისუფლებენ.

ლიპეცკი, 10 მაისი. გაიხსნა სამკურნალო სეზონი.

პენზა, 10 მაისი. გუშინ ქალაქის მახლობელ სოფ. ბეზსონოვკაში ცეცხლმა გაანადგურა 91 სახლი და 70 საძნე; ორი ბავშვიც დაიწვა.

კიევი, 10 მაისი. ოფიციალური. საზღვარ-გარეთის გაზეთებში იყო დაწერილი ჟიტომირში მომხდარ არეულობის შესახებ, ვითომც პოლიციის დეპარტამენტს წინადადება მიეცეს კიევის გენ.-გუბერნატორისთვის, სასტიკი ზომები მიიღეთ არეულობების ჩასაქრობათო. ამ ბრძანებას ვითომც ის შედეგი მოჰყოლოდეს, რომ განკარგულება მოეხდინოთ კიევიდან ებრაელების გადასახლების შესახებ, რათა მათი ოჯახები დაეხსნათ ხალხის გამძვინვარებისაგან. ჩვენ მოგვანდეს განვაცხადოთ, რომ ეს ცნობები მოკლებულია ფაქტიურ საფუძველს. საჭიროება არ მოითხოვდა პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებას, ჟიტომირში არეულობის ასაცილებლად თავის დროზე იყო მიღებული საჭირო ზომები, არავითარი მასობრივი გადასახლება ებრაელებისა კიევიდან არ მომხდარა, მხოლოდ ზოგიერთი ებრაელნი წავიდნენ ქალაქიდან, რადგანაც მათ კიევში ცხოვრების ვადა გაუთავდათ. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ კიევის შესახებ ეხელმძღვანელათ განსაკუთრებით მისთვის გამოცემულ კანონებით, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს ჟიტომირის ამბებთან. დაბოლოს სიმართლესთან მწირად არის ის ცნობაც, ვითომც მცხოვრებლების ერთ ნაწილის გადასარჩენად მოსალოდნელ საფრთხისაგან, მას ასახლებდნენ და არ-კი იცოდნენ სად. გენ.-გუბერნატორის უფლებით ებრაელებს შეუმსუბუქდათ კიევში და სხვა ადგილებში ცხოვრების პირობები, გაუმჯობესდა სასწავლებლებში მათის შვილების მიცემის საქმე, უკეთესად მოეწყო მათი აგარაკათ გასვლის პირობები, და ყველაფერი ეს ყველაზე უფრო კარგად ამტკიცებს, რომ საზღვარ-გარეთ გაზეთებში მოყვანილი ცნობები ნაყოფია ტენდენციოზურ გამოგონებისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

შუა მანჯურიაში. „რუს. სლოვო"-ს დეპეშით ატყობინებენ გუნჩულინიდან: იაპონელები მოემზადნენ გამოსალაშქრებლად; ჯარის ზარალი შეავსეს, დიდ-ძალი სამხედრო სურსათი მოზიდეს, ყველა დაჭრილი და სნეული იაპონიაში გაისტუმრეს; იაპონიის საინტენდანტოს თავის საწყობები უფრო შორს ჩრდილოეთში გადმოაქვს; მძიმე არტილერია ტელინში მოვიდა.

„იმავ გაზეთის კორესპონდენტი ბ. კლიმკოვი დეპეშით იუწყება გუნჩულინიდან, 2 მაისის თარიღით. ამ დღეებში ჩაოიანჩანიდან 30 ვერსტზე, სამხრეთით, ხაილუნჩენის აღმოსავლეთით რუსის მზვერავ რაზმს ჩინელებმა თოფი დაუშინეს. ხმა დადის, იაპონელები ბეჯითად მიდიან აღმოსავლეთისაკენ მდინარე ცინხეს ხეობით ქალაქ ჩაოიანჩანისაკენ, ხაილუნჩენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით; იაპონელთა რაზმის რიცხვი 40 ათასამდე აღისო. იაპონელების იერიშს ველით.

გენ. კუროპატკინი. „ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი დრიუ იუწყება, ხმა, გენ. კუროპატკინის რუსეთში დაბრუნებაზე, საფუძველს მოკლებულიაო. („რ. ს.").

მაგრამ გაზეთები მაინც იუწყებიან, გენ. კუროპატკინი მომავალ ზაფხულს ყირიმში გაატარებს და თავს მოირჩენსო. („ნ. დ.").

იაპონიის ფლოტის მოქმედება. „ნიუ-იორკ პრეს"-ი იუწყება, ადმ. კამიმურა ბეჯითად იჭერს რუსის გემებისათვის დანიშნულ კონტრაბანდასაო; კამიმურამ 4 გემი დაიჭირა თოფებითა და სამხედრო მასალით დატვირთული, თოფები და მასალა სანფრანცისკოდან იყო გაგზავნილი. როჟესტვენსკიმ საკმაო ქვა-ნახშირი და სანოვაგე დაიმზადა, მაგრამ ზარბაზნებისა და ყუმბარების შოვნას ვერ ახერხებს, რადგან იაპონელები მეტად კარგად ჰზვერენ ზღვასაო. („ნ.").

როგორც დეპეშამ გვაცნობა, იაპონელებმა 28 აპრილს ერთი რუსის სატრანსპორტო გემი კორეის სრუტეში დაიჭირეს და ერთიც პესკადორის კუნძულებთან. ამას გარდა დეპეშამ გვაცნობა, იაპონელებმა ჯონკა დაიჭირეს რუსის აფიცრებითაო.

სადაა ადმ. ტოგოს ფლოტი? „კენიგსბ. ჰარტ. ცაიტ."-ს ატყობინებენ რომიდან: იტალიის საზღვაო სამინისტროს სარწმუნო ცნობა მოუვიდა, ვითომ ადმ. ტოგოს ფლოტი იაპონიის ზღვაში დგასო. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას მხოლოდ რამდენიმე გემი ადევნებს თვალ-ყურსაო. („კ. ნ.").

ადმ. როჟესტვენსკის მოქმედება. „პალ მალ გაზეთ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: თუმცა იაპონიის მთავრობამ ბეჯითი პროტესტი გამოუცხადა საფრანგეთს და რუსის ესკადრის გაგდება მოსთხოვა, თუმცა საფრანგეთმაც მოსთხოვა თავის ბუხტებიდან წასვლა, რუსის ადმირალი მაინც არ გავიდა საფრანგეთის სამფლობელოდან, სანამ თავისი საქმე არ გაარიგა: თავისი გემები შეაკეთა, ლოკოკინისა და ზღვის ბალახისაგან გაწმინდა, ქვა-ნახშირი და სამხედრო სურსათი დაიმზადა, გზის თადარიგი დაიჭირა და მომავალ ბრძოლისათვის მოემზადა. ადმ. ნებოგატოვსაც იმავ ბუხტებში შეუერთდა ადმ. როჟესტვენსკი; თუმცა ამბობენ, ეს შეერთება აპრილის გასულს მოხდაო, მაგრამ ნამდვილად-კი ადმ. ნებოგატოვი ორი კვირით ადრე შეუერთდა როჟესტვენსკის ესკადრას. რუსის ადმირალმა, ალბად, ნებოგატოვის ესკადრის მეზღვაურებიც გაწვრთნა და ბრძოლისათვის დაამზადა. („რ.").

როგორ მოიქცევა ადმ. ტოგო. ბევრი მეზღვაური და მცოდნე კაცი ჰფიქრობს, ადმ. ტოგო არ შეებრძოლება რუსის ესკადრას, ვლადივასტოკისაკენ გაუშვებს და მერე იქ პორტ-არტურის ესკადრასავით მოუღებს ბოლოსაო. „პალ მალ გაზეთი"-ს სამხედრო მიმომხილველი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, თუმცა რუსის ფლოტი ძლიერია იაპონიის ფლოტზე, მაგრამ ადმ. ტოგო უბრძოლველად არ გაუშვებს ვლადივასტოკისაკენ და გზაშივე ეცდება რუსის ფლოტის განადგურებასაო. მიმომხილველი სწერს: რუსის ადმირალი საფრანგეთის პორტებიდან კუნძულ ფორმოზისაკენ წავა; ფორმოზასთან სატრანსპორტო გემები წყნარ ოკეანეში გავლენ და იაპონიის გარშემო ვლადივასტოკისაკენ გაემართებიან, მებრძოლი ესკადრა-კი ადმ. ტოგოს მოსაძებნად წავა, მაგრამ იაპონელი ადმირალი არ გამოჩნდება, რადგან ეხლა ყველაფერი განსაკუთრებით იმაზეა დამოკიდებული, რომ იაპონელებმა იაპონიის ზღვაში შეუშონ რუსის ესკადრა და იქ თავიანთ ბაზის ახლო მთლად გაანადგურონ. ეს განადგურება უსათუოდ სრული უნდა იყოს, რადგან რუსეთი მალე ახალ მეოთხე ესკადრასაც ჰგზავნის შორეულ აღმოსავლეთს. ზოგი ჰკიცხავს ადმ. ტოგოს მოქმედებას, მაგრამ ეს გაკიცხვა ნაადრევია; იაპონელი ადმირალი ძლიერ კარგს სჩადის, რომ თავის ბინას ჰმალავს და ასე ფრთხილად იქცევა. როჟესტვენსკისაგან ყველაფერია მოსალოდნელი; იქნება თავის ესკადრის ნაწილიც-კი გაიმეტოს დასაღუპად, ოღონდ იაპონიის ფლოტს დიდი ზარალი მისცეს, ამიტომ იაპონიის ფლოტის წინამძღოლი ფრთხილად იქცევა და ახსოვს, რომ გატაცებით მოქმედება ხელს არ მისცემს. ნამდვილი გამარჯვება მხოლოდ დინჯ ადმირალს შეუძლიან. იქნება ძალიანაც გაჰკიცხონ ადმ. ტოგო სიფრთხილისათვის, მაგრამ გამარჯვების თავდები მხოლოდ ეს სიფრთხილე და სიდინჯეა. სამაგიეროდ რუსის ფლოტის დამარცხება მთლად დაავიწყებინებს იაპონელ ადმირალს ეხლანდელ წყენასა და გაკიცხვას. („რ.").

ხმა ადმ. როჟესტვენსკის ავადმყოფობაზე. „რუსკოე სლოვო" კიდევ იუწყება: ხმა დადის, ადმ. როჟესტვენსკი იმდენად სერიოზულადაა ნერვებით ავად, რომ თავის მძიმე თანამდებობის ასრულება აღარ შეუძლიან; ამბობენ, ყოველ შემთხვევაში ადმ. როჟესტვენსკი თავის ესკადრას ვლადივასტოკამდე მიიყვანსო.

„რუს"-ი იუწყება, ის ხმა, ვითომ ადმ. როჟესტვენსკი ესკადრის უფროსობას თავსანებებდეს, ყოველ საფუძველსაა მოკლებულიო.

ვიცე-ადმირალი ბირილევი. „რუსკოე სლოვო" იუწყება: პეტერბურგიდან ტელეფონით შეგვატყობინეს: ხმა დადის, ამ დღეებში ვიცე-ადმირალი ბირილევი წყნა-ოკეანის მთელის ფლოტის უფროსად დაინიშნება. ადმ. ბირილევი ხუთშაბათს, 12 მაისს, წავა ვლადივასტოკს, თან კაპიტანი ელისი ეახლებაო.

რუსეთის მეოთხე ესკადრა. მეოთხე ესკადრის გემები ბეჯითად ემზადებიან ზღვაში გასასვლელად. ახალი ჯავშნიანი გემი „სლა-

ვა“ მალე მზად იქნება; ჯავშნიანი გემი „იმპერატორ ალექსანდრე II“-ც დანიშნულ ვადაზე იქნება შეკეთებული და შეიარაღებული. კრეისერებს „პამიატ აზოვა“-სა და „ადმირალ კორნილოვ“-ს დასანალმე კრეისერს „აბრეკ“-საც ბეჯითად ამზადებენ. კრონშტადტის პორტის გარდა, გემების მომზადებაში ზოგიერთი პეტერბურგის ქარხანაც იღებს მონაწილეობას. („ნ. დ.“).

„ნ. ფრ. პრესე“ ს ატყობინებენ ჰამბურგიდან: 4 მაისს ლიბავიდან რუსეთის მეოთხე ესკადრის სატრანსპორტო გემი „ბელგრავია“ გავა; ამ გემს მალე სხვა ოთხი გემიც მიჰყვება. ამ გემებზე აფიცრებად სულ გერმანელები არიან; მეზღვაურებად რუსები, გერმანელები და სკანდინაველები არიან. გემებს პრივიანტი და სამხედრო სურსათი მიაქვთ. („რ.“).

ნაღმიან გემების დაბრუნება. „სლოვო“ იუწყება: წყნა-ოკეანისი მე-2 ესკადრის რამდენიმე ნაღმიანი გემი გზაში ძლიერ დაზიანდა, უკან დაბრუნდა და ოქტომბრის გასულს ლიბავაში მოვა.

ლიხუნჩანგის პოლიტიკა. რუსის დიპლომატეს განსვენებული ჩინელი დიპლომატი პოლიტიკოსი ლიხუნჩანგი რუსეთის გულწრფელ მეგობრად მიაჩნდათ. ბ. დემჩისკი სწერს „სლოვო“-ში: შარშან ლიაოიანში ერთმა ინგლისელმა სამხედრო აგენტმა მათხრა, ჩვენ გვაქვს საბუთები, რომლებიდანაც სჩანს, რომ განსვენებული აზიელი ბისმარკი—ლიხუნჩანგი მუდამ ურჩევდა ჩინეთის მთავრობას, ყველაფერი დაუთმეთ რუსებს, რასაც კი მოინდომებენო. ლიხუნჩანგის აზრით, არა თუ მარტო მანჯურია პორტ-არტურით უნდა მიეცათ რუსებისათვის, თვით სატახტო ქალაქი პეკინიც უნდა დაეთმოთ, თუ ვინიცობაა რუსები მოისურვებდნენ და ასე შორს წავიდოდნენ. გამჭრიახი ჩინელ პოლიტიკოსის აზრით, რუსეთი ყველა დაჭერილ ადგილში ას მილიონობით დახარჯავდა ფულსა, შენობებს ააგებდა; ადრე თუ გვიან რუსეთს სულ ერთია განდევნიდნენ იქიდან და ყველაფერი მუქთად დარჩებოდა ჩინეთს. იმიტომ განდევნიდნენ რუსეთს, რომ არც იაპონია, არც ამერიკა, არც ინგლისი არ მოითმენდნენ რუსეთის ბატონობას ჩინეთში და ეს განდევნა მით უფრო ჩქარა მოხდებოდა, რაც რუსეთი უფრო ძლიერ იერიშს მიიტანდა ჩინეთზე („ს.“)

ეროვნული საკითხი

მთელს ისტორიაში ვერც ერთს ისეთს ოდნავ მაინც მნიშვნელოვანს საქმეს ვერა ჰნახავთ, რომელიც ეროვნულ ფარგლის გარეშე შესრულებულიყოსო, ამბობს ცნობილი რუსის პუბლიცისტი ვლ. სოლოვიოვი. ვისაც არა სწამს, რომ ყოველს ეროვნებას ცხოვრების თანასწორი უფლება აქვს, იმას ვთხოვთ ამ სიტყვების აზრს ჩაუფიქრდეს. მართლაც, შეუძლებელია ისეთი მოქმედება ადამიანისა, რომელსაც ეროვნული ხასიათი, ეროვნული ელფერი არა ჰქონდეს. ვერც-კი შეიძლება დღევანდელს პირობებში ისეთი რამ ამბავი, ისეთი რამ მოქმედება წარმოიდგინოთ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ეროვნებასთან. ავიღოთ მაგალითისთვის ისეთი სფერა, რომელსაც პირველის შეხედვით არავითარი ეროვნულის ანუ სხვა რამე განმასხვავებელის მომენტის ბეჭედი არ ატყვია, რომელიც საყოველთაო და საყოველკაცობრიოა, სახელდობრ აზროვნება. ბავშვმაც-კი იცის, რომ აზროვნების კანონი ყველა ადამიანისთვის ერთია მთელს დედამიწის ზურგზე, მაგრამ მაინც-კი შეუძლებელია აზროვნება ეროვნულს ნიადაგს ავაცილოთ. შეუძლებელია აზროვნება ადამიანისა საყოველთაო, საკაცობრიო ენაზე, იმიტომ რომ ასეთი ენა არ არსებობს, პირიქით, იგი უთუოდ რომელიმე ეროვნების ენაზე უნდა სწარმოებდეს, მაშასადამე წარმოუდგენელია, აზროვნებამ ყოველივე კავშირი შესწყვიტოს ეროვნებასთან. ზოგიერთ ისტორიკოსის აზრით, სხვა-და-სხვა კვალს იმიტომ დაადგა ფილოსოფია სხვა-და-სხვა ქვეყნებში, რომ ფილოსოფოსნი სხვა-და-სხვა ენაზე აზროვნობდნენ. ერთი რომელიმე ენა რომ საუკეთესო იყოს ყოველმხრივ, მაშინ საქმე თვალსაჩინოდ გამარტივდებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის: ყველა ენას თავისი განსაკუთრებული ღირსება და ნაკლულევანება აქვს.

ყველამ იცის, რომ მეცხრამეტე საუკუნე ევროპაში მუშათა მოძრაობის ხანაა. მუშებს ყველგან, ეროვნების განურჩევლად—ერთი და იგივე ინტერესი, ერთი და იგივე მიზეზი აამოძრავებს, მაგრამ ძალიან შემცდარია ის აზრი, ვითომც ამ მიზეზის ძალით მუშათა მოძრაობის ფორმაც ყველა ქვეყანაში ერთისა და იმავე ყალიბისა იყოს. პირიქით, დასავლეთ ევროპის სამს უმთავრეს ქვეყანაში—ინგლისს, საფრანგეთს და გერმანიაში—მუშათა მოძრაობამ განსაკუთრებითი თავისებური ხასიათი მიიღო და ჯერ კიდევ გადაჭრით არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომელი სახის მოძრაობა უფრო ხელსაყრელია და უმჯობესი მუშათათვის. ინგლისელების ფხიზელმა შეხედულებამ, ფხიზელმა ეროვნულმა ხასიათმა ვერ შეიგუა ვერც ცეცხლის ფრანგების სარევოლიუციო პრინციპებზე დამყარებული მოძრაობა, ვერც ბუნდოვან გერმანელების პოლიტიკურ ოცნებების ნიადაგზე აშენებული მიმდინარეობა. ინგლისელმა მუშებმა ზურგი შეაქციეს როგორც სარევოლიუციო ტაქტიკას, ისე პარლამენტარულ მოქმედებას და თავის პროფესსიონალურ ორგანიზაციებით, ეგრედ წოდებულ ტრედ-უნიონებით, პირდაპირ ეკონომიურს ნიადაგზე ასტეხეს ბრძოლა კაპიტალისტებთან. ვერც გერმანელმა და ფრანგმა მუშებმა შეიგუეს საერთო გეგმა თავის საერთო მიზნის მისაღწევად; თითოეული მათგანი დღემდე საკუთარის გზით მიდის. უეჭველია, ამ სხვადასხვაობის მიზეზი მარტო ეროვნულ ხასიათის განსხვავება არ არის, მაგრამ ამ გარემოებას აქ მაინც მცირე მნიშვნელობა არა ჰქონდა. ვინც ვიწრო ეროვნულ სიამაყის ნიადაგზე არ არის შეპყრობილი და ვისაც უნარი არა აქვს დაკარგული ობიექტიურად შეჰხედოს საქმის ვითარებას, იმას კარგად ესმის, რომ არც ინგლისის, არც საფრანგეთის და არც გერმანიის მუშების მოძრაობა არ შეიძლება პირდაპირ დავგმოთ და უარვყოთ. თითოეულს მათგანს თავისი ღირსება და ნაკლულევანება აქვს, ისტორიის დანიშნულება-კი სწორედ ის არის, რომ ამ სხვა-და-სხვა სახის მოძრაობათა საკეთილო თვისებები შეადუღოს ერთად და საერთაშორისო, საყოველთაო მოძრაობის ტიპი შექმნას. აი სწორედ ამ მხრივ მიმდინარეობს დღეს მუშათა მოძრაობის ისტორია: ინგლისში სოციალ-დემოკრატიის ტენდენციები გადადის და გერმანიაში თანდათან იკიდებს ფეხს პროფესიონალური ამხანაგობა. როგორც მკითხველი დაინახავდა, ეროვნულ სხვადასხვაობას მუშებისთვის არა თუ ვნება არ მიუყენებია, პირიქით, ამ სხვა და სხვაობის ზედმოქმედება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ თითოეულმა ერმა თავისი საკუთარი ტიპი მოძრაობისა შექმნა, განავითარა, დაანახვა მთელს ქვეყანას ამ ტიპის ღირსება და ნაკლულევანება და ეხლა სხვადასხვა ერები ურთიერთის გამოცდილებით და შემომქმედებითის ნიჭის ნაყოფით სარგებლობენ.

ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყოველს სფერაში შეგვიძლიან სწორედ ამ გვარივე გარემოება აღვნიშნოთ. ეროვნული ხასიათი, ვიდრე იგი კარიკატურობას და უნიადაგო სიამაყეს აღნიშნავს, ყოველმხრივ დასაგმობი და უარსაყოფელია, მაგრამ როდესაც იგი მხოლოდ სხვადასხვაობას მოასწავებს, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ასე მკვახედ მოვეპყრათ იმას. პირიქით, სწორედ იმიტომ რომ სხვადასხვაობა სიმდიდრის ნიშანია და შემომქმედებითი ნიჭი ეს სხვადასხვაობა ხელს უწყობს ნაყოფიერ განვითარებისთვის, ჩვენ საკმაოდ ძლიერი პოზიცია გვაქვს ეროვნულ თავისებურების დასაცველად.

ეროვნული თავისებურება მხოლოდ იმ ზომამდეა წინმსვლელობის ხელშემწყობი გარემოება, რამდენადაც იგი ადამიანის მოქმედების თავისუფალს ხასიათზეა დამყარებული. პირიქით, როდესაც-კი ეროვნული თავისებურება ძალდატანებითი ხასიათის იჩენს ე. ი. მოითხოვს ადამიანისაგან ნაძალადევს გადაგვარებას ან ნაძალადევად ხასიათის უცვლელობას, იგი პროგრესის შემაფერხებელ ლოდად ჰხდება. ეროვნული თავისებურება ყოველის უწინარეს ხასიათის თავისებურებაა და აი სწორედ ეს ხასიათის თავისუფლებაა საჭირო ადამიანის სრულის და ყოველმხრივის განვითარებისთვის. კულტურულ წინმსვლელობის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ბუნებრივად უახლოვდება ერთმანეთს, ერთი ერთმანეთისაგან სესხულობს გამოცდილებას და ცოდნას, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ჰნიშნავს, რომ კულტურა ეროვნულ ხასიათის სხვადასხვაობის გაუქმებას მოითხოვდეს. პირიქით, როგორც მართალია ის, რომ ადამიანს მით უფრო მეტი ინდივიდუალური თვისებები აქვს, რამდენადაც ის უფრო მეტად განვითარებულია, ისევე მართალია ისიც, რომ ეროვნული ხასიათი მით უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება ცხოვრებაში, რამდენადაც მეტად არის განვითარებული ერი. ყალბია ის აზრი, ვითომც სოლიდარობისთვის, თანხმობისთვის საჭირო იყოს სხვადასხვაობის მოსპობა ადამიანთა შორის; სხვადასხვაობა და მტრობა, ანუ უთანხმოება ძალიან შორს არიან ერთი მეორეზე. გერმანელისა და ფრანგის ეროვნული სხვადასხვაობა, ყველამ ვიცით, ხელს არ უშლის მეცნიერების განვითარებას საერთო მუშაობით, პირიქით, ეს განსხვავება უფრო ხელს უწყობს, ვიდრე აფერხებს; იგივე ხელ-შემწყობი მნიშვნელობა აქვს კულტურის სხვა სფერათა განვითარებისთვის ეროვნულ სხვადასხვაობას. ეროვნება, როგორც ბუნებრივი და აუცილებელი ფორმა ადამიანის მოქმედებისა, აუცილებელი პირობაა კულტურულის განვითარებისა. აი, სწორედ ამ საბუთით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყველა ერს თანასწორი უფლება აქვს მშობლიურს, ეროვნულს ნიადაგზე ცხოვრებისა და განვითარებისა.

გ. რ.

ორიოდე სიტყვა „მშაკ“-ს

„მოგზაურელებს“ ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა: ეს გახლავთ სომხური გაზეთი „მშაკი“: „ცნობის ფურცელი“ ბურჟუაზიის ნაყოფია, ბურჟუაზიის ერთ-ერთი ჯგუფიაო, სწერს ჩვენზე სომხური გაზეთი. მერე საბუთად რა მოჰყავს გაზეთს? ისა, რომ ჩვენი დასელები ავტონომიის წინაღმდეგნი არიან, „ვინაიდან ეს ავტონომია ბურჟუაზიულ დაწესებულებად მიაჩნიათ“: ჩვენ-კი ავტონომიის მომხრენი ვართ და ავტონომია ხომ იგივე ბურჟუაზიული მოთხოვნაა, „მხოლოდ სხვა სახით და სხვანაირად გამოთქმული“-ო. მერე რომელი საბუთი მოჰყავს გაზეთს ავტონომიის ბურჟუაზობისა? „მოგზაურელებს“ მიაჩნიათ ეგრეო. ასეთის ავლადიდებით გამოდის გაზეთი „მშაკი“ ჩვენს წინაღმდეგ, ის გაზეთი, რომლის სულის ჩამდგმელნი აღტაცებით მიეგებნენ კავკასიის მართვა-გამგეობის ვითომდა ცვლილებებს და ფეხ-ქვეშ ეგებიან ჯერ კიდევ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ერთგვარი გაბედულებაა საჭირო, რომ ასეთ მიმართულების გაზეთმა სხვის ბურჟუაობაზე ილაპარაკოს და ნოტაციები გვიკითხოს: „პატივი ეცით (თვითეულ ერის) თვით გამორკვევას და რომელმაც ეროვნებამ ბურჟუაზიული წყობილება თუ ისურვა თავისთვის, ნება მიეცით სწორ გზას მიაგნოს შემდეგში თვითონვე, თავისი ძალღონითო“-ო.

თვით-გამორკვევის პატივისცემას „მშაკი“ ვერ გვასწავლის და სწორედ თვით-გამორკვევის ამ პატივისცემამ გვაიძულა გამოგვეაშკარავებინა პეტიციის ეგოისტურ-ბურჟუაზიული ხასიათი და ტენდენცია. „მშაკი“ კიდევ იმეორებს ზემოდ-მოყვანილ ციტატაში, ვითომც ეს პეტიცია იყოს გამომთქმელი სომხის მთელის ერის სურვილისა. მაგრამ ცალიერის სიტყვებით რომ შეიძლებოდეს რისიმე დამტკიცება, „მშაკი“ და „მოგზაური“ მართლა ბურჟუებად გვაქცევდა აქამდე. საბუთი კი გაზეთს ერთიც არ მოჰყავს და ვერც მოიყვანს, რადგან ხალხისთვის არავის არ უკითხავს და ვერც ჰკითხავდა დღევანდელ პირობებში. დღეს, სინიდისის ქვეშ, ვერც ერთი პარტია ვერ დაიჩემებს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობას, რადგან ხალხის ნება და სურვილი გამოითქმება განსაზღვრულის წესით—საყოველთაო საარჩევნო უფლებით, რომელიც, როგორც სჩანს, „მშაკს“ არა სურს კავკასიის მომავალ თვითმართველობისათვის.

თუ ვერც ერთი პარტია ვერ დაიჩემებს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობას, ყველაზედ ნაკლებ ამის დაჩემება შეუძლიათ იმ პეტიციის შემდგენელთ და მათ ზელად „მშაკ“-ს: მეტად აშკარაა ამათი ვიწრო ეგოისტური სულის კვეთება, მეტად აშკარაა მათი... ნამდვილი სახელი რომ არ დავარქვათ, ქედ მოხრილი პოლიტიკა. ეს პოლიტიკა პეტიციის შემდგენელთ ბრძნულ და გონიერ პოლიტიკად მიაჩნიათ, მაგრამ ხალხი დღეს მიმხვდარია, რამდენად, არა თუ უნაყოფო, პირდაპირ მავნებელია მის ინტერესებისათვის მუდმივი ხვეწნა-მუდარა და ძლიერთა ფეხის ლოკვა; მავნებელია უფრო იმიტომ, რომ ჯერ კიდევ შეუგნებელ ელემენტს დროებით თავისკენ იტყუიებს და ამით ასუსტებს ხალხის ძალას.

ახალი ამბავი

◆ გუშინ პარაპეტზე ყუმბარით მოუკლავთ **ბაქოს გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე**, სამი დარაჯი და მეეტლე. მკვლელი მიიმალა. ქალაქში შიშიანობაა.

◆ **გურია-იმერეთ-სამეგრელოდან** უკანასკნელ ამბების გამო 60-მდე კაცი ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში დაპატიმრეს. დაპატიმრებულთ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე იშუამდგომლეს და განაცხადეს, უმიზეზოდ ვართ დაპატიმრებულნი და გვაგანთავისუფლეთო. ეს შუამდგომლობა გადაეცა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს, რომელიც გუშინ მეტეხის ციხეში იყო, გამოჰკითხა დაპატიმრებულთ საქმის ვითარება და ყველანი გაანთავისუფლა.

◆ 8 მაისს ტფილისის გუბერნიის სოფლის **მასწავლებელთა კრება მოჰხდა.** საგანი კრებისა იყო გამორკვევა ახლანდელ სკოლის უნუგეშო მდგომარეობისა და ღონისძიებათა გამოძებნა სკოლის საქმის ნორმალურად წასაყვანად. კრებას სოფლის მასწავლებელთა გარდა გარეშენიც დაესწრნენ. კრებაზე მხოლოდ გარეშენი ლაპარაკობდნენ. თვით მასწავლებელნი კი სდუმდნენ. აწინდელი სკოლა თავის პოლიციურ-ბიუროკრატიულ რეჟიმით არაფის აკმაყოფილებს და სირცხვილია ასეთ სკოლებში სწავლების განგრძობაო,—დაასკვნა კრებამ.

ფელეტონი

ინგლისი

აღმასრულებელი ძალა და პარლამენტი.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ პოლიტიკურ ცხოვრების გაფართოებამ და თვითცნობიერების გაღვიძებამ ინგლისში დიდი ზეგავლენა იქონია მეფეზე და მისი, როგორც მონარქის გამოცდილი, ხელმწიფება უბრალო სიმბოლოდ გადააქცია. ვისაც კი ხელმწიფება ეჭირა ინგლისში, იმათ, თუ მეფეს გამოვაკლებთ, დარჩა მხოლოდ პარლამენტი. რახან პარლამენტის პოლიტიკაში მეფეს არავითარი ინიციატივა არა აქვს და საკანონმდებლო მოქმედებას თავის veto-ს ვერ დაადებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალების შეჯახება (კონფლიქტი) სამუდამოდ აცდენილი და უზრუნველყოფილია. ამ პირობებში აღმასრულებელი ძალა არ წარმოადგენს რამე თავისებურ ძალას და ან ქვეყნის მეთაურს—მეფეს ექვემდებარება, ან პარლამენტის უმეტესობას. მაშინ-კი როცა მეფეს თავის ნებით არც დათხოვნა შეუძლიან სამინისტროსი და არც დატოვება, სამინისტრო პარლამენტის უმეტესობის იარაღათ გადაიქცევა ხოლმე და იმის სურვილებს ემსახურება.

ამიტომ აღმასრულებელ ძალის ნამდვილი და ჭეშმარიტი ხელმძღვანელი და სიცოცხლის მომცემი პარლამენტია ინგლისში. მაგრამ ეს პარლამენტიც საზოგადოებათა და ლორდთა პალატათაგან შესდგება და საკანონმდებლო ხელმწიფების ეს ორი ორგანო ძალიან ცოტათი ჰგვანან ერთმანეთს. თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალების შეჯახება სამუდამოდ აცდენილია თავიდან ორის პალატის არსებობის დროს, შესაძლებელი იყო მათი შეჯახებისა და უთანხმოების მოლოდინი ყოველთვის ჰქონოდა ადამიანს. ქვევით დავინახავთ ამ უთანხმოებასა და შეჯახებას როგორ ირიდებენ ინგლისელები, ეხლა კი ვსთქვათ, რომ ყოველი სამინისტრო მხოლოდ საზოგადოებათა პალატის წინაშეა პასუხისმგებელი. ლორდთა პალატამ რამდენიც უნდა გამოუცხადოს სამინისტროს თავისი უთანხმოება და უნდობლობა, სამინისტროს ეს ვეთარ გავლენას ვერ იქონიებს. სამინისტრო მხოლოდ საზოგადოებათა პალატის უმეტესობის მოსამსახურე და მისი სურვილების გამომხატველია და ამიტომ დაჰკარგავს თუ არა იგი ამ უმეტესობის ნდობას, სამინისტრო სახელმწიფო საქმეებს დაუყოვნებლივ ანებებს ხოლმე თავსა. სამინისტროს აშკარა დამოკიდებულება ცხადათ ჰმოწმობს, რომ ქვეყნის საქმეების გამგეობა ფაქტიურად საზოგადოებათა პალატას უჭირავს ხელში. ქვეყნის საქმე ქვეყანას უნდა ეკითხებოდეს—ეს პრინციპი ისეთი სამართლიანი და [illegible], რომ ინგლისელი თავის გონიერებით და გამჭრიახობით, უსათუოდ მალე მიიღებდა ამ პრინციპს და აგი ამიტომ ყველაფერი და ყოველი ძალა ხალხის სურვილებს დაუქვემდებარა. 1868 წ. საყოველთაო არჩევნებზე კონსერვატიული პარტია დამარცხდა და გამოირკვა თუ არა, რომ პალატის უმეტესობას ლიბერალები შეადგენდნენ, კონსერვატიულ სამინისტროს მეთაურმა დიზრაელიმ პალატის შედგენას აღარც კი დაუცადა და სამინისტროს თავი დაანება. ამას შემდეგ საკონსტიტუციო ჩვეულებად დარჩა—შეიტყობს თუ არა არჩევნები არსებულ სამინისტროს წინააღმდეგ ხასიათს, სამინისტრო დაუყოვნებლივ სამსახურს თავს ანებებს. გლადსტონი ყოველთვის დიზრაელის მიერ ქმნილ პრეცედენტს (მაგალითს) ჰბაძავდა. მხოლოდ [illegible] იყო, რომ 1892 წლის არჩევნებს ყურადღება არ მიაქცია და პალატის პირველ სხდომას მოუცადა, ისიც იმიტომ, რომ ამ წლის არჩევნებზე ლიბერალებმა დიდი უმეტესობა ვერ ჩაიგდეს ხელში და მეორე, ამ უმეტესობის შესამჩნევ ძალას ირლანდიელნი შეადგენდნენ.

საზოგადოებათა პალატა შვიდის წლით ირჩევა და სხვაგვარი გარანტია რომ არ ჰქონდეს ინგლისელს, ხელმწიფების მთლად პალატის ხელში გადაცემას შეიძლებოდა დიდი ხიფათი მოჰყოლოდა ქვეყნისთვის. საყოველთაო არჩევნები ერთ რომელსამე საკითხს დასტრიალებენ და იმისგან იღებენ ხასიათს და მიმართულებას. ქვეყანას როგორცა სურს ამ საჭირ-ბოროტო საკითხის გადაწყვეტა, არჩევნებსაც ამგვარ ხასიათს აძლევს. მაგრამ გათავდება თუ არა სა-

შვიდის წლით აბსოლუტურ ხელმწიფებას იგდებს ხელში. ამ შვიდი წლის განმავლობაში პალატას შეუძლიან ამ საჭირ-ბოროტო საკითხის გარდა, ბევრი სხვაც გადასწყვიტოს და ისეთ საკითხების განხილვას შეუდგეს, რომლების ცოდნა ამომრჩევლებს საყოველთაო არჩევნების დროს არც-კი ჰქონდათ. ასეთი მაგალითი 1900 წელს მოხდა. მთავრობას უნდა გაეგო—სურს ქვეყანას ომის განგრძობა და ჩემბერლენის პოლიტიკა სასურველი და მოსაწონია ქვეყნისთვის თუ არა, და საზოგადოებათა პალატა დაითხოვა. რაღა თქმა და განმარტება უნდა, რომ ამ წლის საყოველთაო არჩევნებზედ ეს საჭირბოროტო საკითხი იქონიებდა ზეგავლენას. მართლაც, ომიანობის გამო უმეტესობამ ისევ არსებულ სამინისტროს დაუტოვა ძალა და პალატაში, 132 კონსერვატორი გაგზავნა. ამ გვარად ომის კეთილად გათავების სურვილით ქვეყანამ შვიდის წლით ისევ კონსერვატორებს დაუტოვა ქვეყნის საქმეები და კონსერვატიულ სამინისტროს ნიადაგი არ გამოაცალა ფეხ ქვეშ. მაგრამ ომი წელიწად ნახევარში დაბოლოვდა და კონსერვატიულმა პარტიამ, რასაკვირველია, სხვა საკითხების გადაწყვეტასაც მიჰყო ხელი. არსებულ კონსტიტუციის ძალით საზოგადოებათა პალატა 1907 წლამდის უნდა სდგომოდა ქვეყნის საქმეებს სათავეში, და რასაკვირველია, ხალხისთვის ბევრი არა სასურველ კანონის გამოცემა შეეძლო. ომის გათავების შემდეგ, მაგალითად, სამინისტრომ ბევრი ახალი გადასახადი შემოიღო, სამხედრო კანონმდებლობა შესცვალა, სააგრარო რეფორმები მოახდინა ირლანდიაში და სხვ. ეთანხმებოდა ყველა ეს საკანონმდებლო ზომა უმეტესობის სურვილს თუ არა? 1900 წლის საყოველთაო არჩევნებზედ ეს საკითხები ხომ საკამათონი არ იყვნენ და, მაშასადამე, მომავალ დეპუტატების პროგრამაში არ შედიოდნენ. მეორეს მხრივ, ომის გათავების შემდეგ ბევრი ახალი საკითხი წამოაყენა ცხოვრებამ და იმათ შესახებ რა აზრისა იყო ქვეყანა ამას კონსერვატიული პალატა და სამინისტრო ხომ ყურადღებას არ მიაქცევდა. რა უნდა ჰქნას ქვეყანამ ამგვარ შემთხვევაში? მომავალ არჩევნებამდის, ვსთქვათ, ორი-სამი

სამ წლის განმავლობაში განა ცოტა უსამართლობის ჩადენა შეუძლიანთ პალატასა და სამინისტროს?!

ამ ხიფათს ინგლისელი „კერძო დამატებითი არჩევნებით“ იცილებს თავიდან, რომლებიც მომავალ საყოველთაო არჩევნების დამახასიათებელნი არიან ხოლმე ყოველთვის. დამატებით არჩევნებზე საამომრჩევლო ოლქს თავისუფლად შეუძლიან რომელიმე ახალ საკითხზედაც გამოსთქვას თავისი აზრი და შეხედულება. თუმცა ეს შემთხვევა ზოგიერთ ოლქს ეძლევა ხოლმე, მაინც თუ კატეგორიულად და დიდის უმეტესობით დაჰგმეს ამგვარ არჩევნებზედ არსებული მმართველობა და პალატაში ოპოზიციის წარმომადგენელი გაჰგზავნეს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და მმართველობაც იძულებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხოლმე ამგვარ გარემოებას. მთავრობამ ერის ამგვარად წარმოთქმულ ხმას რომ ყურადღება არ მიაქციოს, პალატის უმეტესობა ყოველ დღე მოაკლდება მას, მით უმეტეს რომ ოპოზიცია მით უფრო ჯიუტად და გაბედულად იწყებს მოქმედებას, რამდენადაც მეტს გამარჯვებას საოპოზიციო პრესა, რომელიც მით უფრო ვრცელდება და ძლიერდება, რამდენადაც უფრო სავსებით იქნება ხალხის სურვილების გამომხატველი. ბოლოს, ამასვე მოაკლებს მას თავის წრეშივე მოხშირებული ღალატი. დეპუტატები იგრძნობენ თუ არა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება პირის ბრუნვას აპირებს და მთავრობას ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლება, პალატის უდროოდ დათხოვნის შიშით მთავრობის მიერ აღძრულ საკანონმდებლო საკითხების კენჭის ყრაში ან სრულიად არ იღებენ ხოლმე მონაწილეობას, თუ კი დაინახეს, რომ ხალხის უმეტესობისათვის სასურველი არ იქნება ეს პროექტი, ან ცხადად გადადიან ოპოზიციის ბანაკში. ამ გარემოებათა წყალობით მთავრობის პარტია, რასაკვირველია, საოცარის სისწრაფით სუსტდება და ერთ მშვენიერ დღეს მთავრობას შეიძლება უმცირესობაც შერჩეს. რაღა დარჩენია მთავრობას ამ შემთხვევაში? დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს, რადგან მხოლოდ ამ ზომით შეუძლიან ქვეყნის აზრის გაგება.

მოვიგონოთ ზევით აღნიშნული 1900 წლის არჩევნების მაგალითი, როცა ინგლისი ბურებთან ომით იყო გატაცებული და მთავრობას დიდის უმეტესობით ნდობა გამოუცხადა. წელიწად ნახევარი, სანამ ომი ჯერ არ გათავებულიყო, ყოველ დამატებით არჩევნებზედ ისევ კონსერვატორებს ირჩევდნენ, მაგრამ აგერ ომი გათავდა და ზავიც ჩამოვარდა. ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში თერთმეტ ოლქს ჰქონდა შემთხვევა დამატებით არჩევნებით თავისი მიმართულება და აზრი გამოეთქვა. 1900 საერთო ამორჩევნების დროს სწორედ ამ თერთმეტ ოლქში ასე გაიყო ხმები: კონსერვატორთა პარტიამ 21,694 ხმა მიიღო და ოპოზიციამ კი 1,508; 1903 წელს კი, როცა ომი გათავდა და მთავრობა სხვა კანონმდებლობას შეუდგა, დამატებით არჩევნებზედ ოპოზიციამ 7,478 ხმა მიიღო და კონსერვატორთა პარტიამ 4,701. ცხადი იყო, რომ უმეტესობის მიმართულება იცვლებოდა და მასთან ერთად მთავრობასაც ნდობა ეკარგებოდა. თუ კონსტიტუციის ძალით პალატას კიდევ ოთხი წელიწადი უნდა ჰქონოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე ხელში, ნამდვილად კი პარლამენტის ჩვეულებით, ეს პალატა უნდა დაეთხოვათ და ახალი საყოველთაო არჩევნები დაენიშნათ. მით უმეტეს, რომ ნორმალურ 120—130 უმეტესობის მაგიერ მთავრობის წინადადებანი კამათის დროს 39,40 და ერთხელ 13 ხმის უმეტესობითაც იქმნენ მიღებულნი (ბევრნი კენჭის ყრაში მონაწილეობას არ იღებდნენ). ვიმეორებთ, ამ გვარ შემთხვევაში პალატა დათხოვნილი უნდა ყოფილიყო და ახალი არჩევნები უნდა დაენიშნათ, მაგრამ საქმე იმიტომ გაჭიანურდა, რომ თვითონ ოპოზიციის წრეებში განხეთქილება სუფევდა და ნაციონალისტებიც მთავრობას ემხრობოდნენ.

ეხლა მგონი, ცხადია, ამ კერძო, დამატებითი არჩევნებით მნიშვნელობა და, რასაკვირველია, ისიც ცხადია, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო და სასურველია რაც შეიძლება ხშირად ხდებოდეს ამგვარი არჩევნები.

ჩვეულებრივ, დამატებითი არჩევნები რომელსამე დეპუტატის სიკვდილის ან დეპუტატობიდან გადადგომის შემდეგ ხდება ხოლმე. მაგ-

აქ დროებით კამათი შესწყდა და თავმჯდომარემ წინადადება მისცა, ხელი მოეწერათ იმ რეზოლიუციაზე, რომელიც წინადვე იყო შემუშავებული. ზოგი მასწავლებელთაგანი ამ დროს გაიპარა. უმრავლესობამ ხელი მოაწერა. რეზოლიუციის შინაარსი იყო თითქმის იგივე, რაც ტფილისის პედაგოგთა რეზოლიუციისა. დამატებული იყო მხოლოდ: „ვიდრე სკოლა არ გაუმჯობესდება, ყოველ-გვარ მეცადინეობას სკოლებში ვსპობთო“. ხელის მოწერის შემდეგ მასწავლებელთა ნახევარზე მეტი გაიფანტა. დანარჩენები შეუდგნენ იმის განხილვას, დღეიდან გავიფიცოთ თუ სექტემბრიდანო. ბევრი იმ აზრისა იყო, დღეს სწავლა უკვე შეწყვეტილია და ჩვენს გაფიცვას მნიშვნელობა არ ექნება, ჩვენ ამით მხოლოდ ჯამაგირს მოგვისპობენ, გავიფიცოთ სექტემბერშიო. ერთმა ორატორმა ნიჭიერად დაახასიათა ეხლანდელი მასწავლებელი, როგორც მონა ბიუროკრატიისა, და დაუმატა: მე კარგს არას მოველი იმათგან, რომელნიც იძახიან, ხვალ შუადღისას გავიფიცოთ და არა დილით, რადგან დილით ჯამაგირი უნდა მივიღოთო. ბოლოს ხმის უმეტესობით გადასწყდა, მასწავლებელნი სექტემბერში გაიფიცნენ. დასასრულ, ყოველ მაზრიდან არჩეულ იქმნენ დელეგატები, რომელთაც ხელი უნდა მოაწერინონ რეზოლიუციაზე იმ მასწავლებელთ, რომელნიც კრებას ვერ დაესწრნენ. („ივერია“).

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ ბოქაულებს უბრძანა, თვალყური ადევნონ, რომ, გუბერნატორის ნებადაურთველად, **იარაღის ტარება არავინ გაბედოს.**

✦ ქალაქში ხმა დადის, რომ **ბათუმის გუბერნატორი** გენერალ-მაიორი დრიაგინი სხვაგან გადაჰყავთო.

✦ 17 მაისისათვის ტფილისის სახელოსნო გამგეობაში დანიშნულია **ქალაქის მეჩექმეების კრება** თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად.

✦ გუშინ, 11 მაისს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით მოხდა **კრება მეაფთიაქეებისა.** ლაპარაკი იყო სამედიატორო სასამართლოს დაწესების შესახებ იმ სადაო საქმეების გადასაწყვეტად, რომელიც მეაფთიაქეებსა და ფარმაცევტ-შეგირდებს შორის ჩამოვარდა. პირველ ხანს მეაფთიაქეებმა დიდი უარი განაცხადეს სამედიატორო სასამართლოსი. ბ-ნი გეინი ახლაც, როგორც საბჭოს კრებაზე, რეპრესიულ ზომების მიღებას ურჩევდა კრებას. დაკეტოთ აფთიაქები და მთავრობა 24 საათში გააძევებს აგიტატორებსაო, ბრძანებდა ბ-ნი გეინი. წინააღმდეგნი იყვნენ სამედიატორო სასამართლოსი აგრეთვე იაკუბოვიჩი, იოანესიანი, ოტენი და სხვანი. მხოლოდ ხანგრძლივის ლაპარაკის შემდეგ კრება დასთანხმდა სამედიატორო სასამართლოს დაწესებას და მეაფთიაქეებმა განაჩენს ხელი მოაწერეს.

✦ ამ ორი კვირის წინად მეავის საზოგადოების სოფელ გორხანის მინდორში ვიღაცებს **მოუკლავთ ალექსანდრე ნებიერიძე.** მოკლულის გვამი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ უნახავთ. ჯერ-ჯერობით ვერ გამოურკვევიათ, ვინ არის მკვლელი და რა არის მიზეზი მკვლელობისა. ნებიერიძეს რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. იქვე უნახავთ იმისი მოკლული ცხენი. ნებიერიძე მონაწილეობას იღებდა ქართულ თეატრის საქმეში და ერთ-ხანად გაზეთ „თეატრ“-საც რედაქტორობდა.

✦ **სოხუმის ქალაქის მოურავმა ტომარამ** თანამდებობას თავი გაანება. ამბობენ, ქალაქის საბჭომ აიძულა მოურავი ასე მოქცეულიყოო.

✦ როგორც „კავკ.“-ი გადმოგვცემს, არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი) ინიშნება **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად.**

✦ დღეს, 12 მაისისათვის, დანიშნულია **ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება.**

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი:** „უწყლობისა გამო დიდ გაჭირვებაში ჩავვარდით ხარფუხის მცხოვრებნი. წყლის შოვნა ისე გაჭირდა, რომ ლამის სისხლი დაიღვაროს წყლის ბუტკასთან. ხშირად სამი-ოთხი საათი არ მოდის წყალი. ნუ თუ ამ გარემოებას ყურადღება არ უნდა მიაქციოს ქალაქის მოურავმა და მთლად გამგეობამ?! ეხლა წყალი მუშებს ავჭალის მოედნიდან მოაქვთ და ათ კაპეიკს ნაკლებს არა ყაბულდებიანო“.

✦ ივნისის პირველ რიცხვებისათვის განზრახულია მოიწვიონ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.**

✦ ქალაქის გამგეობის წყლის მილის განყოფილების მოხელეებმა გ. მ. ოტიანმა და ა. ა. ზურაბიანმა გუშინ, 11 მაისს, ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინეს შემდეგი განცხადება: 13 აპრილს გვცნობეს, რომ ონკანების კანტროლერი დეკანოზაშვილი დაუპატიმრებია პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულს ბაჩურინსაო. ჩვენ მაშინვე გამოვცხადდით პოლიციაში, რომ შეგვეტყო, მართალი იყო ეს ამბავი თუ არა. ჯერ არც კი ავსულიყავით ოთახში, რომ გამოგვივარდა ბოქაული და დაგვიწყო ყვირილი: დაიკარგეთ აქედან, ჩვენ ადვოკატები არ გვინდა; თქვენ ქალაქის გამგეობაში შეგიძლიათ როგორც გინდათ, მოიქცეთ, აქ კი საქმე არა გაქვთ; ეხლავე გიბრძანებ და შათრახებით გაგაგდებთო. მოხელენი სთხოვენ გამგეობას: ბოქაული უზრდელად მოგვექცა, მან შელახა ჩვენი ადამიანობა და გთხოვთ პასუხის გებაში მისცეთო.

✦ ქალაქის წყლის ონკანების კანტროლიორმა ბ-ნმა დეკანოზაშვილმა გუშინ-წინ განცხადება მიართვა ქალაქის გამგეობას. დეკანოზაშვილი სწერს: ამ რამდენისამე დღის წინად ხეშთვის ვიდექი ქალაქის გამგეობის სადგომის წინ. ამ დროს მოვიდა პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაული და დამაპატიმრა. ბ-ნი დეკანოზაშვილი მფარველობას სთხოვს ქალაქის გამგეობას.

✦ სად. ევლახი. 10 მაისს, შუადღის 1½ საათზე, ორი ორთქლმავალი ერთმანეთს დაეჯახა და დაზიანდა. გზა 18 საათის შემდეგ გაუშვეს.

✦ 1903 წლის 1 ივლისიდან 1905 წლის 1 მაისამდე, როგორც ქალაქის ქუჩების მომკირწვლელ კომისიის ცნობებიდანა სჩანს, ქუჩების მოსაკირწლავად დახარჯულა 218,934 მან. 82 კაპ. საუკეთესო სისტემით მოკირწლულა 1878 ოთხ. კ. საჟენი. 1903 წელს მოკირწლულა 13 ქუჩა, 1904 წელს 27, ხოლო მდგომარე წელს 1 მაისამდე 28 ქუჩა; ეხლა იკირწლება 27 ქუჩა. წელს ქუჩების მოსაკირწლავად გადადებულია 61,184 მან. 10 კაპ.

✦ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარს წყალი შემოჰკლებია. თავშესაფარის გამგემ ექიმმა გ. გედევანიშვილმა სთხოვა გამგეობას იღონოს რამე ამ ნაკლულევანების თავიდან ასაცილებლად.

✦ სად. კოვლიარი. 10 მაისს, დილის 4 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 152 სადგურზე შემოვიდა უფროსმა კონდუქტორმა განაცხადა, მე-400 ვერსზე გდია გასრესილი გვამი რკინის გზის დარაჯის მამედ-ალი-ომარ ოღლისო.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში საკომერციო სასწავლებლის წინ სიმთვრალის დროს ჩხუბი მოუვიდათ ვასო ბარხუდაროვსა და ნიკოლოზ ერემეევს. ამ უკანასკნელმა ბარხუდაროვი დასჭრა დანით და გადაიმალა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 15 წლის ბიჭი სანდრო ვარსილაშვილი როსტოვის ქუჩაზე თავის სახლიდან ამ რამდენიმე დღის წინად კარში გამოსულა და სადღაც გადამალულა.

✦ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 16 მაისს და გათავდება 30 მაისს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

10 მაისი

ტფილისის მეეტლეებს გადასახადი ქალაქის კასაში უნდა წარედგინათ 1 აპრილამდე. მეეტლეებმა ვადაზე ფული არ შეიტანეს და უთხოვიათ, კიდევ ერთი თვე დაგვაცადეთ და ფულს 1 ივნისამდე შემოვიტანთო. გამგეობას ტფილისში მუდამ მცხოვრებ მეეტლეებისთვის 10 დღის ვადა მიუცია, ხოლო დროებით მომუშავე მეეტლეებისთვის—5 დღისა. საბჭომ მიიღო ეს დადგენილება.

ტფილისში არსებობს ტუბერკულოზთან მებრძოლი საზოგადოება. ქალაქის საბჭომ ამ საზოგადოების გამგეობაში თავის წარმომადგენლებად აირჩია ხმ. ვაჩნაძე და ი. მ. დოლუხანოვი.

ხმ. ხუდადოვი შეეკითხა გამგეობას ქალაქში წყლის ნაკლებულობის შესახებ. ენფიაჯიანცმა განაცხადა, წყლის მეორე მილის გაყვანა შეიგვიანებს კიდევ კარგა ხანს, ამიტომ გამგეობას აზრად აქვს ქალაქის ქუჩები მტკვრის წყლით მორწყოს, ბაღებში სარწყავი წყალი სიფთხილით იხმაროსო და სხვა.

ხმ. პ. დოლუხანოვი შეეკითხა გამგეობას, რატომ სისრულეში არ მოგყავთ საბჭოს გადაწყვეტილება მტკვარზე ღარიბთათვის საზაფხულო აბანოების გამართვის შესახებაო. როგორც მკითხველებს ახსოვთ, ამ საქმისათვის საბჭომ 6000 მან. გადასდო. გამგეობამ მიზეზად უფულობა დაასახელა.

შემდეგ 2 საათი იკამათა საბჭომ იმ ჯარიმის შესახებ, რომელიც უნდა გადაიხადოს უსახელო საზოგადოებამ ტრამვაის მოძრაობის შეჩერების გამო. ტრამვაის მეთვალყურე კომისიას საჭიროდ უცვნია ჯარიმის დადება სულ 36,000 მანეთისა.

ნ. თამამშევმა და ქანანოვმა განაცხადეს, რომ უსახელო საზოგადოებამ ყოველივე საშუალება იხმარა, მაგრამ ვერა გააწყო-რაო. ხმ. თამამშევი თავგამოდებით იცავდა უსახელო საზოგადოებას. სხვათა შორის, ხმოსანმა სთქვა, კომისიას მე ვურჩიე ადმინისტრაციისათვის მიემართნა, გამოეგზავნა ჯარის-კაცები და კონდუქტორ-მემატარებლეების ნაცვლად ისინი ემუშავებინა, მაგრამ კომისიამ ჩემი წინადადება უყურადღებოდ დასტოვაო. გამგეობას საჭიროდ უცვნია ჯარიმის შესახებ საქმე გამოსარკვევად განსაკუთრებულ კომისიას გადაეცეს. საბჭოში უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ უსახელო საზოგადოებას ჯარიმა უნდა გადახდეს. დასასრულ საბჭომ დაადგინა, გადაეცეს ეს საქმე იურისტთა კომისიას.

მეაფთიაქემ ხმ. ბ-ნმა გეინმა განაცხადა: კერძო აფთიაქის ფარმაცევტებმა და სააფთიაქო შეგირდებმა დღეს, 10 მაისს, შესწყვიტეს მუშაობა. ჩვენ მათ მოთხოვნილებას არ შევასრულებთ, აფთიაქის პატრონები ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდით. დავიხმარეთ ცოლები, დები, ნათესავები, მაგრამ დღევანდელმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ ასეთი დახმარება მხოლოდ რამდენსამე დღეს შეიძლება. ვსთხოვ ქალაქის გამგეობას, შუამდგომლობა გაგვიწიოს გუბერნატორის წინაშე, რომ აფთიაქებში სამუშაოდ სამხედრო ფარმაცევტები მოგვაშველოს. იმათ წყალობით ახალს შტატს შევადგენთ, ხოლო გაფიცულ ფარმაცევტებს თავიდან მოვიშორებთო (ქანდარაზე სტვენა გაისმა). ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ დღეს ჩემთან იყვნენ ფარმაცევტების წარმომადგენელნი და როდესაც წინადადება მივეცი მიმართონ სამედიატორო სასამართლოს, განაცხადეს, რამდენადაც ვიცით, ფარმაცევტები სამედიატორო სასამართლოს დასთანხმდებიან, თუ მეაფთიაქენი სავალდებულოდ გაიხდიან სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებასაო. ფარმაცევტები აქ არიან და წინადადება მივეცით, სამედიატორო სასამართლოს გადასცენ სადაო საქმე. საბჭომ დაადგინა, შეეკითხოს ფარმაცევტებს, მიისურვებენ თუ არა სამედიატორო სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად. საბჭოს კრება გათავდა 12 საათზე. შემდეგ, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, საბჭოს დარბაზში მოხდა ფარმაცევტების კერძო თათბირი კრების გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად. დაადგინეს, თითო ფარმაცევტი გაუგზავნონ მეაფთიაქეებს და ფარმაცევტების კრებაზე მოიწვიონ მოსალაპარაკებლად.

რუსეთის ქრონიკა

„ზემსკი საბორ“. 6 მაისს რომ წარჩინებული პირები იყვნენ ცარსკოე სელოში, იქიდან დაბრუნებისას სთქვეს, რომ სულ მოკლე ხანში გამოვა ბრძანება ზემსკი საბორის მოწვევის შესახებ; თვითონ მოწვევა კი ნოემბერში იქნებაო. ამ ზემსკი საბორმა უნდა გადასწყვიტოს წარმომადგენლობის საქმე.

როგორც ვიცით, ბულიგინის კომისია რომ გაათავებს თავის მუშაობას, მოწვეული იქნება საგანგებო სათათბირო. როგორც ისმის, ამ სათათბიროს წევრები იქნებიან თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი (გუბერნიის და მაზრის), აგრეთვე წარმომადგენლები საგუბერნიო და სამაზრო ერობათა, ქალაქის, მოქალაქეთა და ხელოსანთა წოდებებისა, ვაჭრებისა, გლეხობისა, სასულიერო წოდებისა (მართლმადიდებელისა და სხვებისაც) და არა რუსთა ტომებისა. გარდა ამათისა იქნებიან წარმომადგენლები ყველა სამინისტროებისა და მაღალ საგუბერნიო ადმინისტრაციისა. სულ უნდა იქნება 80—100 წევრი. თათბირი გაგრძელდება დაახლოვებით ექვს კვირას. ამ დროის განმავლობაში უნდა გამოარკვიონ წესი წარმომადგენლების მოწვევისა და მათი კომპეტენცია. („რ. ს.“).

ქვეშევრდომობის გამოცვლა, რომელიც აქამდე თითქმის შეუძლებელი იყო სასტიკ წესების მიზეზით, უფრო გაადვილებული იქნება თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვისა (კ. ნ.).

საყოველთაო სავალდებულო სწავლა. სახალხო განათლების სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია განიხილოს საყოველთაო სწავლის შემოღების საქმე. საცდელად ჯერ პეტერბურგის გუბერნიაში ჰკრეფენ საჭირო ცნობებს.

ვარშავის და სხვა ქალაქების ქალები დიდ აგიტაციას სწევიან თურმე, რომ ქალებსაც ჰქონდეთ საარჩევნო უფლება მაღალ საერობო დაწესებულებაში. საერობო თვითმმართველობაში აქტიურ მონაწილეობის უფლება ქალებსაც უნდა მიენიჭოს უთუოდ, გაიძახიან პოლონელი ქალები.

დედაკაცების „ბუნტი“ სევასტოპოლში. „სათადარიგო ცოლებს“ ეძახიან ჯარში წაყვანილ სათადარიგო ჯარის-კაცების ცოლებს; ასეთების რიცხვი სევასტოპოლში 700-მდე ყოფილა. ქალაქის თვითმმართველობა აძლევდა თითეულ სულზე თვეში 3 მანეთს და ორსაც შეშისათვის. რო დათბა, ეს ორი მანეთი მოუჭრეს. ამის თაობაზე დედაკაცებმა მთელი ბუნტი გაჰმართეს. გარს შემოერტყნენ საქალაქო თვითმმართველობის სახლს და იყვირეს:

— მოგვეცით ფული ჩვენ ქმრებშაო.

ბევრი ილაპარაკა ქალაქის თავმა, მაგრამ ვერა შეაგონა-რა გაავთრებულ დედაკაცებს.

— ან ქმრები დაგვიბრუნეთ და ისინი გამოგვკვებენ ანა და სრულად მოგვეცით ფულიო. ხმაურობა უფრო და უფრო მატულობდა; ქალები უფრო და უფრო მღელვარებდნენ.

ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა და ქალებიც მეორე დღისათვის დაიბარეს.

ბევრი ითათბირეს ხმოსნებმა, მაგრამ მაინც ვერ შესცვალეს წინანდელი დადგენილება—ზაფხულში შეშის ფასს ვერ მოგცემთო.

მეორე დღეს ისევ მოვიდნენ „სათადარიგო ცოლები“; ბევრს კალთები ჰქონდა ქვებით სავსე. დაუძახეს პოლიციას. მოვიდნენ პოლიცმეისტერი, უბნის ზედამხედველები და პოლიციელები, მაგრამ ვერა გააწყეს-რა: დედაკაცები იერიშით მოდიოდნენ. მოითხოვეს ჯარისკაცების მთელი რაზმი. მოვიდა რაზმი, სადაც ბევრი იყო აბუნტებულ დედაკაცების ქმრები. რაზმი იდგა, პოლიციელები მიდი-მოდიოდნენ და „სათარიგო ცოლები“-კი გაჰკიოდნენ:

— ფული მოგვეცით ქმრებშაო.

ძნელი საწინასწარმეტყველებელია, რითი გათავდებოდა საქმე, რომ გამგეობის წევრი არ გამოსულიყო და არ გამოეცხადებია—ხვალ მოდით და ორ-ორ მანეთს დაგირიგებთო.

დედაკაცები მაშინვე დამშვიდდნენ და თავთავიანთ სახლში წავიდნენ. გამგეობამ გადასწყვიტა ერთხელ კიდევ მეცათ ეს ორ-ორი მანეთი და შემდეგ-კი... რაც მოხდება, მოხდება. („რ. ს.“).

რამ ინგლისში კი, კონსტიტუციის ჩვეულებით, ორ სხვა შემთხვევაშიც ინიშნება ამ გვარი არჩევნები: პირველი—თუ ამომრჩევლები კმაყოფილნი არ არიან თავიანთის დეპუტატისა. ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა კომიტეტი ყველა (ოლქის, ქალაქის ან ქალაქის ნაწილის) ამომრჩევლების მიტინგს ნიშნავს, რომელზედაც თავიანთ დეპუტატსაც იწვევს და ამა თუ იმ საქციელის პასუხსა სთხოვს. ამ ყრილობაზე უმეტესობამ, თუ ვინიცობაა ნდობა არ გამოუცხადა თავიანთ დეპუტატს, ეს უკანასკნელი ვალდებულია დეპუტატობიდან გადადგეს. ახალ დეპუტატის ამოსარჩევად, რასაკვირველია, დამატებითი არჩევნები ინიშნება. ტრანსვაალის ომის დროს ორი დეპუტატი გადააყენეს ამ გვარად და ომის მომხრე უაილდის კი თანაგრძნობითი ადრესიც მოუვიდა ამომრჩეველთაგან, თუმცა ოპოზიციის მიერ იყო არჩეული და ომის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო.

მეორე შემთხვევა დამატებითი არჩევნებისა, დეპუტატის ჯამაგირიან თანამდებობაზედ დანიშვნა არის. თავის თავად იგულისხმება, რომ იმ დეპუტატს, რომელიც ჯამაგირიან თანამდებობას (მინისტრობას, ადმირალობას და სხ.) იღებს, დამოუკიდებლობა ეკლდება და ამიტომ ამომრჩევლებს შეძლება ეძლევათ გამოსთქვან—სურთ ისევ ის იყოლიონ დეპუტატად, თუ სხვის არჩევას მოინდომებენ. მთავრობა, რასაკვირველია, თავის მომხრეებსა ნიშნავს სხვა და სხვა თანამდებობაზედ და, რადგან საქმის გაფუჭება და ნდობის დაკარგვა არ უნდა, იმისთანა პირებსა ნიშნავს სამსახურში, რომელთაც არჩევნების დროს დიდი უმეტესობა მიიღეს. თუ ამ შემთხვევით გამოწვეულ დამატებით არჩევნებზედ სამსახურში ჩარიცხულის ნაცვლად ოლქი ოპოზიციის წევრს გაჰგზავნის, ეს ცხადი მომასწავებელი იქნება იმისა, რომ მთავრობამ ამ ოლქში ნდობა დაჰკარგა.

ხალხის სუვერენიტეტის—ხელმწიფების პრინციპმა საზოგადოებათა პალატა ლორდთა პალატაზედ მაღლა დააყენა. იმავე პრინციპით აიხსნება ის მოვლენა, რომ საზოგადოებათა პალატას და მხოლოდ საზოგადოებათა პალატას აქვს მეფის ჯამაგირისა და ახალ გადასახადების შემოღების უფლება. ბიუჯეტის შემუშავება და საფინანსო კანონმდებლობის უფლება საზოგადოებათა პალატას ეკუთვნის. ლორდთა პალატამ და მეფემ-კი მხოლოდ თანხმობა უნდა გამოაცხადონ, რადგან, კონსტიტუციის ძალით, არც ერთი კანონ-პროექტი, იმათებურად ბილლი, არ შეიძლება კანონად იქცეს, თუ საკანონმდებლო ხელმწიფების სამთავე ნაწილი არ შეთანხმდნენ იმის შესახებ. საზოგადოებათა პალატის ამ უპირატესობას იმიტომ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზეა დამყარებული, სხვათა შორის, სამხედრო ძალის [illegible].

საზოგადოებათა პალატის ნება დაურთველად ზავის დროს მუდმივ ჯარის შენახვის უფლება მეფემ 1688 წელს დაჰკარგა.

მაშასადამე ქვეყნის ნამდვილი მმართველი და გამგე საზოგადოებათა პალატა ყოფილა, როგორც ვხედავთ. მაშ რაღას წარმოადგენს ლორდთა პალატა და ადვილია იმის თანხმობის მიღება თუ არა?

ლორდთა პალატა მეტად კონსერვატიული დაწესებულებაა. გამოანგარიშებულია, რომ ლორდების მარტოოდენ უძრავი ქონება დიდ ბრიტანიის ტერიტორიის მეექვსე ნაწილს თურმე შეადგენს. ეს კრეზები, რასაკვირველია, ყოველთვისა და ყოველ წუთს მზად იქნებიან პროლეტარიატის სასარგებლოთ შემუშავებულ და გაბედულ რეფორმას წინ აღუდგნენ და სავსებით ჩაჰფუშონ. მაგრამ ინგლისის დემოკრატიას რევოლუცია როდი სჭირია ამ შესაფერხებელ დაწესებულების მოსაშორებლად და გასაუმჯობესებლად. თუ რომელისამე პრინციპიალურ საკითხის გამო საზოგადოებათა და ლორდთა პალატას შეჯახება მოუვიდათ, ყოველთვის ლორდთა პალატამ უნდა დაუთმოს, რადგან პირველ მინისტრის (მაშასადამე, საზოგადოებათა პალატის) წინადადებით, მეფე, ვისაც უნდა, იმას გახდის ლორდად. საზოგადოებათა პალატის ეს უფლება მეტად დიდი და მნიშვნელოვანია, თუ-კი დაუკვირდებით. ვსთქვათ საზოგადოებათა პალატის მიერ შემუშავებულმა და მიღებულმა კანონ პროექტმა ლორდთა პალატის წინააღმდეგობა გამოიწვია. საზოგადოებათა პალატას შეუძლიან ამ უფლების ძალით თავის წევრების ერთი ნაწილი ლორდებად გაჰხადოს და ასე, ამ გვარად, კენჭის ყრის დროს კანონ პროექტის მომხრეების რამდენიც საჭიროა, იმდენი ხმა მოუმატოს. ლორდებმა ჩინებულად იციან ეს ამბავი და, თუ კი დაინახეს, რომ საზოგადოებათა პალატა ამ ზომის ხმარებას აპირებს, ყოველთვის დაემორჩილებიან ხოლმე ქვედა პალატას და სასურველი კანონ-პროექტი კანონად იქცევა ხოლმე. ასეთი შემთხვევა 1892 წელსაც მოხდა. ამ წელიწადს საზოგადოებათა პალატის მიერ განზრახულ არჩევანის რეფორმაზედ ლორდთა პალატა თანხმობას არას გზით არ იძლეოდა, მაშინ პირველმა მინისტრმა მეფისაგან (თუმცა მეფეს სრულიად არა სურდა ეს) ბრძანება მიიღო ლორდების რიცხვი გაემრავლებინა. გაიგეს თუ არა ლორდებმა ეს ამბავი, პირველ სხდომაზედვე რეფორმის შემოღებაზედ თანხმობა გამოაცხადეს და ამგვარად არჩევნების რეფორმა მიღებულ იქმნა.

ის კონსტიტუცია და სახელმწიფო წეს-წყობილება დაწყებულია და [illegible], რომელსაც თავის განსავითარებლად და გასაფართოვებლად რევოლიუციის გარდა სხვა არა-ფერი გზა აღარ დარჩენია. ინგლისის კონსტიტუცია სწორედ ამ მხრივა სდგას სხვა ყოველ კონსტიტუციაზედ მაღლა, რომ მრავალი სახსარი და გზა აქვს ურევოლიუციოთ რა რეფორმაც უნდა, ის მოახდინოს და ქვეყნის წინსვლელობა არ შეაჩეროს.

საზოგადოებათა პალატას თუ-კი მართლა სურს, მას ყოველთვის შეუძლიან პრინციპიალურ საკითხის გადასაწყვეტად შემაფერხებელ დაწესებულების, ლორდთა პალატის, გავლენა თავიდან მოიშოროს და თავისი კანონ-პროექტი სავსებით გაიყვანოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ საზოგადოებათა პალატას, ძალიან იშვიათად სურს ხოლმე ესა და ეგ, აგერ ნახევარი საუკუნეა, პრინციპიალური შეჯახება არ მოსვლია ამ ორ პალატას.

საზოგადოებათა პალატას ლორდთა პალატისა სრულიად არ ეშინიან, მაგრამ როგორც დემოკრატიის დასაბრმავებელი იარაღი კი ძალიან უყვარს. როცა ამომრჩევლების ძალ-დატანებით დეპუტატები რომელსამე კანონ-პროექტს მიიღებენ, იმათ ყოველთვის იმისი იმედი აქვთ, რომ ლორდთა პალატა არ მიიღებს ამ პროექტს და დემოკრატიისათვის სასურველ ზომას კანონის ძალას არ მისცემსო. მერე კი, სანამ ეს პროექტი ხელ-მეორედ დაბრუნდება საზოგადოებათა პალატაში, (კანონით მეორე სესიაზედ ადრე არას გზით) ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ხალხის აღტაცება თავის ძალას დაჰკარგავს ანდა სხვა მიმართულებას მიიღებს. ერთის სიტყვით, ლორდთა პალატა საქმის გასაჭიანურებლად ჩინებული იარაღია, რომელიც ყოველ კეთილ განზრახვას, თუ კი წრფელად არა ჰსურს იგი საზოგადოებათა პალატას, ბოლოს უღებს და წუთი-სოფელს ასალმებს ხოლმე.

1892 წ. გლადსტონმა, დიდის შრომისა და მეცადინეობის შემდეგ, საზოგადოებათა პალატას, როგორც იყო, ერთი პროექტი (ამაზე შემდეგ) მიაღებინა, მაგრამ ლორდთა პალატამ 419 უმეტესობით 41 წინააღმდეგ არ მიიღო იგი. გლადსტონის დროს ბევრ სხვა პროექტსაც ეწვია ეს ბედი. ლორდთა პალატის ამგვარ საქციელის შესახებ გლადსტონმა 1894 წლის პირველ მარტს შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა პალატაში, რომლითაც საზოგადოებათა პალატის წევრებს ლორდთა პალატის საბრძოლველად იწვევდა. „ამნაირი წესი აღარ შეიძლება კიდევ გაგრძელდესო“,—გამოაცხადა გლადსტონმა. ყველას ეგონა პირველი მინისტრი საზოგადოებათა პალატას დაითხოვს და ახალ არჩევნებს დანიშნავს ლორდთა პალატის გასაუქმებლადო, მაგრამ ამის მაგიერ გლადსტონმა სამინისტროს თავი გაანება და პოლიტიკური სარბიელი მიატოვა. დედოფალმა ვიქტორიამ გლადსტონის ნაცვლად ლორდი როზბერი მოიწვია პირველ მინისტრად.

რად დაანება გლადსტონმა თავის განზრახვას თავი და თავისი მუქარა სისრულეში რატომ არ მოიყვანა? ამისი მიზეზი მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიგო ქვეყანამ, როცა, ინგლისელმა, მაკ-კარტიმ, 1897 წელს გამოცემულ თხზულებაში ერთის გაზეთის გამომჟღავნებას მიაქცია ყველას ყურადღება.

პირველი მინისტრი რომ ლორდთა პალატას გაუქმებას ჰლამობდა, სამინისტროს სხვა წევრები თურმე სრულიად სხვა აზრისანი იყვნენ და, პირიქით, ლორდთა პალატის ხელშეუხლებლობას თურმე ეტრფოდნენ.

სწორედ ამ დროს, როცა როზბერი ლიბერალებს ლორდთა პალატის გასაუქმებლად იწვევდა, დედოფალმა ვიქტორიამ, რასაკვირველია როზბერის წინადადებითვე, ოთხი [illegible] ლორდებად გახადა. შეიძლება, ერთ ინგლისელ მწერლისა არ იყოს, ეს ოთხი ლიბერალი ღირსნი იყვნენ ლორდობისა, მაგრამ მათი გალორდება კი ძალიან ცუდ დროს მოისურვა დედოფალმა, რადგან ლორდების რიცხვის გამრავლებით დედოფალი პალატას აძლიერებდა, რომელსაც როზბერი ვითომ-და ომს უცხადებდა.

გლადსტონმა რომ პირველად ლორდთა პალატის გაუქმების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა, ყველა ლიბერალი დიდის ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიეგება, მაგრამ ეს დიდი აღტაცება და სიხარული წრფელი თურმე არა ყოფილიყო. ლორდთა პალატის გაუქმება წრფელის გულით მხოლოდ ირლანდიელებს, რადიკალებსა და მუშათა წინამძღოლებს უნდათ, თორემ დანარჩენებს სურთ კიდეც ამ პალატის არსებობა.

ინგლისის სახელმწიფო უფლების ისტორია ცხადათ მოწმობს, რომ ლორდთა პალატის გაუქმებას არ შეიძლება ახლო მომავალში მოუღოდეს ადამიანი, თუმცა რეფორმას იმედი კი შეიძლება იქონიოს კაცმა. რეფორმების სხვადასხვა გვარი გეგმები ცოტაც არ არის შედგენილი, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთს გავიხსენებთ ამ ჟამად.

თუ რომელიმე კანონ-პროექტი ორჯელ ზედიზედ უარ-ყოფილ იქმნა ლორდთა პალატის მიერ და საზოგადოებათა პალატამ მესამედაც მიიღო იგი, პროექტი de jure კანონად უნდა იყოს ცნობილი. ასეთი რეფორმა ლორდთა პალატას რეაქციონურ ძალას დაუსუსტებდა და იმავე დროს კი საკანონმდებლო ხასიათს არ გამოუცვლიდა. ბევრი პროექტია შედგენილი ლორდთა პალატის სარეფორმოდ, მაგრამ რომელ გზას დაადგება ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება, ძალიან ძნელი გამოსაცნობია, თუმცა ისკი გადაჭრით ითქმის, რომ რევოლიუციის გზას არ აირჩევს, რადგან სახელმწიფოთა სხვა-და-სხვა ფორმების მტრევა-განადგურება ინგლისელს საზოგადოდ არც უყვარს და არც თუ საჭიროა ეს მისთვის.

ი. პ—ვი.

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება

8 მაისს ფოთის ქალაქის მოურავის ბ-ნ ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით მოხდა ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელიც 27 მარტს უნდა შემდგარიყო, მაგრამ, საზოგადოების გაქურდვისა გამო, რომელიც წინა დღეს (26 მარტს) მოხდა, არ შემდგარა. თავდაპირველად გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ან. ერისთავმა მოახსენა კრებას თუ რა აზრით იყო იგი პეტერბურგში გამგზავრებული და შემდეგ წაუკითხა კრებას წინა წლის ანგარიში, რომელიც უნდა დაემტკიცებინა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, მართალია საზოგადოებას წარსულ წელს დაუტრიალებია 22.190.311 მ. და 44 კ., წინა წელთან შედარებით 2.826.832—30 კაპეიკით მეტი, მაგრამ საერთო საიმპერიო საფინანსო კრიზისისა გამო, ნალდი მოგება მაინც 1904 წელს 67 მ. და 64 კაპ. მეტი არ დარჩენია; 1903 წელს-კი მცირე თანხის გადატრიალების დროს მოგება 2128—71 კ. დარჩა. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევას საზოგადოება იმ მიზეზსაც აწერს, რომ ბანკის ოპერაციებს გამგეობა გულ-გრილად მოჰკიდებია. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა ანგარიში.

როცა ჯერი მიდგა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაზე, წევრებმა ხარჯის შემცირება მოითხოვეს. წინანდელთან შედარებით გამგეობისა და სხვა ხარჯები თუ 19 ათას მანეთს აღემატებოდა, დღეს 15 ათას მანეთზე დააყენეს.

დასასრულ მოხდა არჩევნები: დირექტორისა, ნაცვლად დ. გუგუშვილისა, რომელსაც სამსახურის ვადა უსრულდებოდა; ერთხმად ისევ გუგუშვილი აარჩიეს. საბჭოს დეპუტატებად და სარევიზიო კომისიის წევრებად მცირეოდენ ცვლილებით ისევ ძველები დასტოვეს. ასარჩევი იყო გამგეობის თავმჯდომარე, ნაცვლად თავ. ან. ერისთავისა, რომელმაც სამსახურზე უარი განაცხადა იმ მიზეზისა გამო, რომ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ მიიწვიეს. მართალია, ამ თანამდებობაზე დაასახელეს რამდენიმე კაცი, მაგრამ რომ უფრო ღირსეული თავმჯდომარე მონახონ, არჩევანი გადასდვეს ორის კვირით.

ი. იანეთელი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. ჩვენ სოფელ საქარაში (იმერეთი) მცხოვრებმა გლეხობამ მოვილაპარაკეთ ურთიერთს შორის და დავდეთ პირობის წერილი, რომ დღეის შემდეგ სამუდამოდ მოვსპოთ უწინდელ დროიდან მიღებული ჩვეულება და აღარ გადავიხადოთ დღეობა „ამაღლება“, რომელსაც უზომო ხარჯთან ერთად ადამიანის მკვლელობაც მოსდევს. ამითვაცნობებთ ჩვენს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ აწ ნუღარ გვეწვევიან „ამაღლებაზე“, რადგან ამ დღისთვის არავითარი შემზადება არ გვექნება. ვინც ჩვენთაგანი ამ პირობის წერილს დაარღვევს და „ამაღლებაზე“ სტუმრებს მოიწვევს, იმას ჯარიმად გადახდება ოცდა ხუთი მანეთი სოფლის სასარგებლოდ.

ერთობის მონდობილებით: **კოწია, დათა, არჩილ და ამბროსი ბეწაძეები.**

II

საზოგადო კრიზისისა გამო დურგალთა ამხანაგობამ უმჯობესად სცნო ხარჯების შესამცირებლად მაღაზია, რომელიც მოთავსებული იყო მიხეილის ქუჩაზედ, გადაეტანა ელისაბედის ქუჩაზედ, აწ არსებულ საამხანაგო ქარხანასთან. ამისთვის ნება გვიბოძეთ, შევატყობინოთ მკითხველ საზოგადოებას და ამხანაგობის თანამგრძნობელთ, რომ ხმები, გავრცელებული არა-მკითხე მოამბეთაგან, ვითომ ჩვენი ამხანაგობა იხურებოდეს, ჭორებია და, მაშასადამე, ყოველ სიმართლეს მოკლებული. ჩვენ ამხანაგობის დახურვაზედ არც გვიფიქრნია და ან რა ჭკუაში მოსასვლელია, ისიც ამ დროს, როდესაც ხელოსნებმა უფრო შეიგნეს ძალა საერთოდ მოქმედებისა*).

გამგეობის თავ-მჯდომარე **გრ. თოიძე.**

III

ამ დღეებში თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული სია იმ პირთა, რომელნიც წევრებად ირიცხებიან რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებისა. სხვათა შორის, მოხსენებული იყო ჩემი სახელი და გვარი იმ წევრთა შორის და ამის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი რწმუნება, რომ მე არასოდეს მაგ საზოგადოებაში წევრად არა ვყოფილვარ, არც შემეძლო ვყოფილვიყავ, არასოდეს არაფერი საწევრო ფული არ შემიტანია და არც მესურვება შეტანა. ამასთანავე წერილსა ვსწერ თვით საზოგადოების გამგეობას, რომ გამაგებინოს, რა უფლებით ან რა მიზეზით ჩაუთვლივარ მე წევრად და როგორც-კი მივიღებ პასუხს, მაშინვე გაცნობებთ. იმედია, გამოირკვევა, რომ ვიღაცას შეცდომაში შეუყვანიხართ ან სახელის ინიციალები თქვენს გაზეთში შეცდომით არის დაბეჭდილი **).

თქვენი პატივისმცემელი **პეტრე წულუკიძე.**

IV

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ ჩემს მოხსენებას: 21-ს აპრილს სოფ. სტეფანწმინდის ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ წარმოადგინეს ა. ყაზბეგის დრამა „არსენა“. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა. ხარჯს გარდა დარჩა ოცი მან. 56 კ., რომელიც გარდაეცა ივანე ვალიშვილს.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვსთვლი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო: საქმის მეთაურს და მოთამაშეს ბად. ბაგრატ აბრამოვს, აგრეთვე ქ-ნთ ანიკო შადურს და ქეთევან თოფაძეს, ბ-ნთ იაგორ შადურს, ვანო და ვასილ თოფაძეს, ნიკიფორე და ნიკოლოოზ ლუდუშაურებს, ივანე ხმალაძეს და ნიკოლოოზ ხეთაგურს, რომლებიც ყოველის მხრით ხელს უწყობდნენ წარმოდგენას და მით დახმარება გაუწიეს სიმპატიურს საქმეს—სოფლის ღარიბ სკოლას. იმედია, კვლავაც გვასიამოვნებენ თავიანთი მწყობრად-შეგნებულის თამაშით.

სტეფანწმინდის სკოლის მზრუნველი **ელ. ყაზბეგი**

წ ე რ ი ლ ე ბ ი

საჯულია (ქვემო იმერეთი). იმ დროს, როცა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი, როგორც ქალაქისა, ისე სოფლისა, ერთმანეთს უკავშირდება და ძმობა-ერთობაზე ეფიცება, რომ ამ ერთობით მოსპოს ბნელი ძალები, აქ ზოგიერთი ვაჟბატონები ერთმანეთის ჯიბრსა და კინკლაობაში ატარებენ დროს. გაზაფხულის სიომ აქ დიდი ხანია დაჰბერა, ცხოვრების მიმდინარეობა და მასზე შეხედულება გამოიცვალა, მაგრამ მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ძველ ჩვეულებებს ასე ადვილად ვერ სტოვებენ. ქეიფი და დროს ტარება ისევ უწინდებურია. ასე მოხდა ახალკვირას. ჯერ დინჯად მიდი-მოდიოდნენ, ერთმანერთს სიყვარულით ჰხვდებოდნენ. მაგრამ საღამოს, ორის თავადის წყალობით, გაიმართა ჩხუბი. საქმე ასე იყო: ადგილობრივი ახალგაზდა გლეხი, ჩაქურად გამოწყობილი, სტუმართან ერთად დასეირნობდა თემში. როცა მიუახლოვდა ერთ კრებას, რომელშიც ორი ახალგაზდა თავადიც ერია, ერთმა ფეხი გადუდგა ჩაქურად გამოწყობილს, მეორემ კი მიაძახა: „ძირს სირმებიანი!“ ეს შეურაცხყოფა ვერ მოითმინეს მასპინძელ ახალგაზდებმა და ერთი ბებუთით მივარდა ერთს და მეორემ სილა გააწნა მეორეს. ამას მოჰყვა კეტებისა და ხანჯალ-ბებუთების ტრიალი, რომლის დროსაც ერთი ხელში დაიჭრა მსუბუქად და რამდენიმე კეტებით მიბეგვეს. ამ შემთხვევამ ისე ააშფოთა შეგნებული მკვიდრნი, რომ 27 აპრილს კრება მოახდინეს ზედა საჯულიელ გლეხებმა და დაადგინეს: 1. მოისპოს დღესასწაულზე მიპატიჟება სტუმრებისა, სიმთვრალე, თემში გასვლა და ის ხარჯები, რომელიც ათახსირებს ჩვენს ისედაც დაბეჩავებულს ცხოვრებას; 2. ნათესავი თუ გვეწვიოს, უბრალო სადილი ვაჭამოთ და შინ გავუშვათ, 3. ვინაც ამ ჩვენ დადგენილებას დაარღვევს, იმას საამხანაგო სამართალი, არჩეულ პირების საშუალებით, გადუწყვეტს 3—5 საჟ. გზის კეთებას ან სხვა რამეს სოფლის სასარგებლოდ.

სხლი

---

*) ამ ნაირივე წერილი 8 მაისს მქონდა დაბეჭდილი „ტიფ. ლის.“-ში. ვსთხოვ „ივერიას“ და „მოგზაურს“ ეს წერილი გადაბეჭდონ. **გ. თ.**

) ჩვენ შენიშვნაში აღნიშნული იყო პ. გ. წულუკიძე. როგორც აღმოჩნდა, ეს წულუკიძე ყოფილა პლატონ გიორგის ძე. **რედ.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 მაისი.

კრონშტადტი, 10 მაისი. ვიცე-ადმირალ ბირილევმა თანამდებობის ასრულება ბალტიის ფლოტის მთავარ კამანდირს ვიცე-ადმირალ ნიკონოვს მიანდო და თვითონ ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

ტოკიო, 11 მაისი. იუწყებიან, რუსებმა მსუბუქი რკინის გზა გამართეს გირინიდან კანტუტუმდეო; სამხრეთით დიდს გზას მართავენ ჯარისთვის სურსათის გადმოსაზიდავათ. დალნისა და მუკდენს შორის გაიხსნა რკინის გზით მიმოსვლა. იაპონიის არმიას ისეთივე ძალა აქვს, როგორიც მუკდენის ბრძოლამდე ჰქონდა. რუსებს მოქმედება ეტყობათ აგრეთვე მონგოლიის საზღვარზე, სინმინტინისაკენ. დაბეჯითებით ამბობენ, რუსის ესკადრა წყნარ ოკეანეში არისო. მინისტრ-პრეზიდენტთან მთელი დღე დიდი თათბირი იყო გამართული, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ იტო, იამაგატა, გერაუჩი და კამურა.

შანხაი, 11 მაისი. „მორნინგ პოსტ“-ს აუწყებენ, ტოგოს ესკადრა მოზანპოდან მოსჩანსო.

ჩანჩავაძი, 11 მაისი. იაპონელებს ჯერ არ ეტყობათ აქტიური მოქმედება. ბალოხეს მარჯვენა ნაპირზე ხუნხუზები გაჩნდნენ. ტარუნცუნის მიდამოებში ჩვენს პოსტებსა და ტრანსპორტებს დაეცნენ. მონგოლიის მთავარმა შირინ გირინმა დაამარცხა ხუნხუზების ბრბო და თავგამოდებით იცავს თავის ტერიტორიას.

პეტერბურგი, 10 მაისი. ოფიციალური. ბეჭდვით სიტყვის შესახებ საკანგებო საბჭოში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შემდეგი მოსაზრებანი გამოთქვა დრამატიულ ცენზურაში სასურველ ცვლილების შეტანაზე: საჭიროა, რომ ის პიესები, რომლების წარდგენას გადასწყვეტენ დრამატიულ ნაწარმოებათა ცენზორები, განხილულ იქნან ხოლმე საბჭოში, სცა თავმჯდომარედ ბეჭდვით სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსი იქნება, წევრებათ კი დრამების ორი ცენზორი და სახელმწიფო სცენის დამსახურებული მსახიობი, რომელსაც საიმპერატორო თეატრების დირექტორი დანიშნავს. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლიან მოჰპატიჟოს სხდომის დროს პიესების ავტორები ანა კერძო თეატრების გამგენი და დასების რეჟისორები, როცა პიესები ნათარგმნია ანა და ავტორები პეტერბურგში არ არიან. სცენზურო წესდებაში სამი მუხლია დაყენებული: 1. უცილობლად ნების მიცემა პიესის წარმოდგენაზე; 2. ნებართვა გამოკლებით და შეცვლით და 3. პიესის დადგმის აკრძალვა, მაგრამ პრაქტიკამ კიდევ ერთი ნებართვა შეიმუშავა, სახელდობრ: ერთ განსაკუთრებულ დასს, ამა თუ იმ ქალაქში, ნება ეძლევა წარმოდგენისა ან რამდენიმე ხნით ან ერთხელ მხოლოდ. ამ გვარ პირობით ნებართვა უკუგდებულ უნდა იქნას საკვლავისოდ და ნება მიეცეთ იმისთანა პიესების დადგმისა, რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, გარდა პოლონეთისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ ქვეყნებისა და კავკასიისა. მოლოროსიულ ენაზე დაწერილ პიესების წარმოდგენა ყველგან შეიძლება, ნება მიეცეთ საკუთარ მალოროსიულ თეატრების აგებისა და დასის დაარსებისა, რომელიც მხოლოდ მალოროსიულ ენაზე შეასრულებს პიესას. გაუქმებულ უნდა იქნან ის განსაზღვრები, რომელნიც 1887 წ- იყო გამოცემული ყველასათვის ხელ-მისაწვდომ სახალხო თეატრებისთვის. ყველა, წარმოსადგენად ნებადართულ, პიესების დადგმა შეიძლება სახალხო თეატრებშიაც, მაგრამ საჭიროა კი, რომ ამ თეატრებში არ იდგმებოდეს ოპერეტები, შანსონეტკები, კუპლეტები და სხვა ამის მსგავსნი, რაც რყვნის მაყურებელთ და ცუდ გემოვნებას უნვითარებს მათ. საბჭო შემდეგისათვის დაადგება თავისს გადაწყვეტილებას.

პეტერბურგი. 10 მაისი. დღეს დილის 8 ს. და 53 წ. მიიცვალა დიდი კნიაგინა ნატალია კონსტანტინეს ასული.

პეტერბურგი, 10 მაისი. ოფიციალური. შინაგან საქმეთა მინისტრის 26 აპრილის ცირკულიარით ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობებს ნება მიეცათ დაამტკიცონ ამ სახელობითისა და არა სახელობითის სტიპენდიების და კაპიტალების შესახები დებულებანი, რომელთაც საერთო განმანათლებელი მიზანი აქვთ და რაზედაც თანახმად 1897 წ. 26 მაისის კანონისა არაა საჭირო მინისტრის ნებართვა, თუ სტიპენდიები და კაპიტალები შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობის ქვეშ მყოფ დაწესებულებებში გადადის; მათვე მიეცათ ნება დაამტკიცონ სამუსიკო და დრამატიულ სკოლათა წესდებანი; თუ ეჭვი დაებადათ, მაშინ შეიძლება მიმართონ განმარტებისათვის რუსის სამუსიკო საზოგადოების მთავარ დირექციას, თუმცა უკანასკნელის აზრი არაა სავალდებულო. გუბერნიებში გუბერნატორებს, საგრადონაჩალ. ნიკოებში—გრადონაჩალნიკებს და გენერალ-გუბერნატორებს, მათ გამგეობის ქვეშ მყოფ გუბერნიებში, ვისლის პირის ქვეყნის გარდა, ნება ეძლევათ, დროებითი ზომის სახით, შესაფერ კანონის გამოცემამდე, გახსნან ხოლმე თავიანთი უფლებით საზოგადო კრებები, კლუბები, სახელოვნო საზოგადოებანი, წრეები, მეცნიერთა და მუსიკალურ-დრამატიულ საზოგადოებანი, სიფხიზლისა, გიმნასტიურისა, პირუტყვების მფარველი, სპექმოსა, საბეთაღლოს და ბიბლიოთეკებისა, სადაც დამფუძნებლად არ არიან მარტო, ან მეტი წილი ებრაელებისა, და თუ საზოგადოება სარგებელს არ მისდევს. დანარჩენ შემთხვევებში-კი პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა მიმართონ ხოლმე.

კერჩი, 10 მაისი. „იუჟნი კურიერ“-ის რედაქციაში შევიდა მღვდელი კურდინსკი- გითომ და მოსალაპარაკებლად ერთის სტატიის შესახებ და ესროლა რედაქტორ კრისტს, რომელიც, შემთხვევით, ცოცხალი გადარჩა, მოკვლის განზრახვა შურის ძიებაა გამომწვევნებელ სტატიის გულისთვის.

ალჟირი, 10 მაისი. გუშინ ძლიერის ქარის დროს დაიწვა თითქმის ნახევარი ქალაქი, სავაჭრო ნაწილი და საუკეთესო შენობები. ზარალი მილიონს აღემატება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 მაისი

გუნჩულინი, 9 მაისი. ჩვენმა რაზმმა იაპონელებს გააწმენდინა სოფ. ნანჩენზი და სად. ჩანტაფუ.

ტოკიო, 10 მაისი. ასე ფიქრობენ, რომ ლინევიჩის არმიას 300 ათასი ბრძოლისთვის გამოსადეგი კაცი შეადგენსო—ორი გემი იუწყება, რომ ბაშის სრუტეში რუსების ოთხი ტრანსპორტი დავინახეთო. ამერიკის ესკადრას მანილაში ორი ჯავშნოსანი და ორიც კანონერკა მოემატა. საფრანგეთის ესკადრა ორათ გაიყო: ერთი რაზმი ალგონის ბუხტაშია, მეორე კი საიგონში. მთელი გერმანიის ესკადრა კი ცინდაოში დგას.

ლონდონი, 10 მაისი. რუსის მთავრობამ სამხრეთ ველსის სანახშირო მადაროებს ას ათას ტონაზე მეტი ნახშირი შეუკვეთა ვლადივოსტოკში დაუყოვნებლივ გასაგზავნად.

გუნჩულინი, 10 მაისი. ზოგნი იმ აზრის არიან იაპონელების წინ გამოლაშქრების შესახებ, რომ იგინი მონგოლიით უვლიან მტერსო, ზოგიერთნი-კი ფიქრობენ, ის გარემოება, რომ იაპონელები ფრთებზე უყრიან ჯარებს თავს, იმის მომასწავებელია, რომ მათ უნდათ ჩვენ ფრთებზე ცენტრიდან გადმოგვაყვანინონ ჯარები, მით დაასუსტონ ცენტრი და მერე დაეცნენ მასო.

პეტერბურგი. ჯარშავის ქობერ-პოლიცმეისტერი ნოლკენი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების ქვეშ, ვილნოს პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი მეიერი კი ნოლკენის ადგილზე.

კავკასიის მთ·ვარ-მართებლის კანცელიარიის დირექტორი ტრიფომოვი—შავის ზღვის პირის გუბერნატორად.

სედლეცი. 11 მაისი. ღამის 12 საათზე საბრანიაში ვიღაცამ ბომბა ესროლა პოლიცმეისტერ შედერრს და 24 ჭრილობა მისცა მას. მსუბუქად დაიჭრნენ საბრანიის მზარეული, დაქაა და სხვანი. საბრანიის ფერენდა ჩაინგრა, მეზობელ სახლებში შუშები ჩაიმტვრა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

მანცხადებანი

გორის ქალაქის თვით-მართველობა იწვევს **ექიმს გორის ქსენონისთვის,** სადაც ამ ჟამად ექიმის თავისუფალი ადგილია.

(3—6.—1)

ლუდის ქარხანა

ლუიზა დავითის ასულის მადერის მემკვიდრეებისა ტფილისში

აუწყებს პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადიდებისა (33 პროცენტით) და მუშების ქირის მომატების გამო იძულებულია პირველ მაისიდან შემდეგ ფასად გაჰყიდოს ლუდი:

ვენისა ბოჩკებით ვედრა . . . 1 მ. 30 კ.
ექსპორტი „ „ . . . . 1 მ. 50 კ.
ექსპორტი, ბოთლი . . . . — 10 კ.
ცარსკოე „ . . . . . — 10 კ.
ბოკი „ . . . . . — 12 კ.

ეს მცირედ მომატებული ფასი მაინც არ ჰფარავს წარმოების გაძვირების მიზეზით გამოწვეულ ხარჯს.

(4—1).

იყიდება სახლი

შუა ბაზრის მახლობლად. სახლი სამ-სართულიანია და შეიცავს 14 ოთახს. სახლზე ბანკის ვალიც არის. ცნობებისათვის მიჰმართეთ პოლიციის ქუჩა № 13.

(2—2)

ლუდის ქარხანა

ოტო მადერისა

აუწყებს პატივცემულ მუშტრებს, რომ ჩვენი ქარხანა იძულებულია 15 მაისიდან მოუმატოს ლუდის ფასს, რაიცა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ შემოღებულია ახალი სააქციზო გადასახადი, წინანდელზე 33 პროცენტით მეტი, და მიემატა ჯამაგირი ქარხანაში მოსამსახურეთ. ლუდი ამიერიდან გაიყიდება შემდეგ ფასად:

ლუდი ბოჩკებით, თვითეული
ვედრა . . . . 1 მ. 30 კ.
სასადილო ლუდი, ბოთლი . . — 10 კ.
პილზენის ლუდი ბოთლი . . — 11 კ.

(4—1).

ლუდის ქარხანა
რ. რ. დიტრიხისა

ტფილისში

აუწყებს თავის პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადასახადის გადიდებისა და მუშების ქირის მომატების გამო იძულებული გახდა მცირედ ასწიოს ლუდის ფასი. დღეიდან გაიყიდება ლუდი ბოჩკებით ვედრა . . . . . 1 მ. 30 კ.
შავი ლუდი ბოთლი. . . . — 13 კ.
ცარსკოე ბოთლი . . . . — 12 კ.
ექსპორტი ბოთლი . . . . — 10 კ.

(4—1).

ლუდის ქარხანა

თ. კ. ვეტცელის მემკვიდრეებისა ტფილისში,

აუწყებს თავის პატივცემულ მუშტრებს, რომ აქციზის გადასახადებისა და მუშების ქირის მომატების გამო იძულებული გახდა 15 მაისიდან მოუმატოს ლუდის ფასს. ამიერიდან გაიყიდება:

ვენის ლუდი ბოჩკებით ვედრა 1 მ. 30 კ.
ექსპორტი „ „ 1 მ. 50 კ.
ვენის ლუდი, ბოთლი . . . — 10 კ.
ექსპორტი ლუდი, ბოთლი . . . 11 კ.
პილზენისა (ნათელი . . . . . 12 კ.
მიუნხენისა. . . . . 12 კ.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მცირედ გადიდებული ფასი მაინც არ ჰფარავს იმ ხარჯს, რომელსაც ჩვენ ვეწევით წარმოების გაძვირების გამო.

(4—1).



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,

მკვიდრი, კაპტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—29)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла. მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაზინო სობრ. ნიეს ახლოს. (წ—365—226).

პირველი საწყობი
შეშისა

პ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით ასრულებს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჭრა თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—54)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.